არსენალი

№ 18 (61). 5 - 18 სექტემბერი. 2008. „ქვირის პალიტრა“. სამხედრო-ანალიტიკური ყურნალი. ფასი 1,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ.ყ.

რუსებმა ქართველებისთვის ნასროლი რაკეტა მოლდავურ გემს მოარტყეს...

„ისკანდერის“ კვალი ვაზიანში

1425
2008

სამხედრო-საველე ქირურგია

„კობრები“ ცხინვალის ქუჩებში

მითი დანგრეული ცხინვალის შესახებ

1 სექტემბერი
2008 წელი

სარჩევი

ქალეიდოსკოპი

4 ახალი ამბები

ექსკლუზივი

5 ჯრემლმა თბილისისკენ „ისკანდერის“ ბალისტიკური რაკეტაც ჯი ისროლა

ექსკლუზივი

7 რუსული ზღაპარი „პა ფლოტსკი“

ომი

8 დასკვნების გამოტანის დრო დადგა

ფრთხილად დანაღმულია!

9 ას ათი აუფეთქებელი რუსული ბომბი შენელებული მოქმედების ნაღმად იქცა

ფოტოფაქტი

10 მითი დანგრეული ცხინვალის შესახებ

ფაქტები

12 ოპერაცია „საქართველო-2008“

პოლიტიკა

15 ჯაპარალის დაბადების დღე რეანიმაციაში და სნაიპერის ტყვიას გადარჩენილი ლეიტენანტის ამბავი

პოლიტიკა

17 სამხედრო-სავლეო ქირურგია

მოსაზრება

20 ომში პროფესიონალიზმი ჟურნალისტსაც მოეთხოვება

ფლოტი

21 რუსების ფოთური საქმენი საგმირონი

ალიანსი

25 NATO-ს ხომალდები საქართველოს ეხმარებიან

ავიადარტყმა

36 ყვლავ რუსული ავიაციის შესახებ

დაპირისპირება

44 როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს ამერიკისა და რუსეთის სტრატეგიული ბომბდამშენი ძალები

44 ჯუბერი მუქარები

წვრთნა

48 პრაქტიკული სროლა

საქართველოს ისტორია

52 ცხენოსნური თამაშობანი - სამხედრო წვრთნის სახეობა

იარაღი

54 „ჯობრებმა“ ცხინვალის ბრძოლაში თავი არ შეირცხვინეს

რედაქტორის სვეტი

„არსენალის“ ეს ნომერი საქართველო-რუსეთის ომის დაწყებიდან ერთი თვის თავზე გამოდის. მართალია, ოფიციალურად არც თბილისში და არც მოსკოვში ჯერ არ უღიარებიათ, რომ ეს ნამდვილი ომი იყო, ჩვენ, რეგიონმა მოქალაქეებმა ხომ მაინც ვიცით, რომ კრემლმა ქართული მიწების მიტაცება აშკარად დაიწყო. სამწუხაროდ, ეს წლების კი არა, ათწლეულებისა და შესაძლოა, ამ საუკუნის პრობლემაც არის.

მსოფლიოში პატივს მუდამ მხოლოდ ძლიერებს სცემდნენ. პატარა საქართველოსთან შედარებით რუსეთი წარმოუდგენლად დიდი და ძლიერია, ამიტომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აქამდე დაშვებული ყველა შეცდომა (მათ შორის პოლიტიკური) და უფრო ბრძოლისუნარიანი ქართული არმია შევქმნათ.

ირაკლი ალადაშვილი
გიორგი ჟორჟოლიანი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“ და მიიღეთ შინ, თვეში ორჯერ!
ტელ: 42-43-40; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „ყვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

ᲐᲨᲨ-ᲛᲐ „ᲩᲘᲜᲣᲙᲔᲑᲘ“ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐ

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ BOEING-ᲛᲐ ᲒᲐᲐᲒᲝᲠᲛᲐ 4,3 ᲛᲚᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲙᲠᲐᲢᲘᲡ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ 191 ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲫᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲘᲡ CH-47F CHINOOK-ᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲝᲗᲐᲚᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲨᲔᲛᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲒᲝᲠᲗᲕᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲘᲡ 449 ᲛᲚᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲕᲔ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ „ᲩᲘᲜᲣᲙᲔᲑᲘᲡ“ ᲧᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲠᲗᲯᲔᲠᲐᲓ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲡ. ᲨᲔᲣᲚᲛᲤᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲕᲐᲠᲡᲘᲐ CH-47D-ᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲙᲝᲜᲙᲠᲐᲢᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲗᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲠᲐᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲝᲪᲐ ᲝᲗᲝᲗᲔᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 30 ᲛᲚᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲗ. ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ BOEING-ᲛᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ 48 ᲨᲔᲣᲚᲛᲤᲠᲘᲡ CH-47F CHINOOK-ᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲐᲠᲐ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ CH-47D ᲕᲐᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲗᲘᲗᲝᲛ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 8-9 ᲛᲚᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲐᲯᲐᲓᲔᲑᲓᲐ. CH-47F CHINOOK-ᲘᲡ 2007 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘ ᲕᲐᲠᲡᲘᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲯᲘᲗᲣᲜᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲐᲠᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲝᲠᲢᲐ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲝᲛᲑᲝ. ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ 280 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲫᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ 740 ᲙᲛ ᲠᲐᲓᲘᲣᲡᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ. ᲛᲘᲗᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲝᲛᲬᲘᲜᲝᲑᲐ 9,5 ᲢᲝᲜᲐᲡ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲕᲐ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲥᲕᲔᲘᲗᲘᲗᲔᲑᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲡᲐᲢᲧᲝᲠᲪᲜᲘ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲘᲗ

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ NAMMO TALLEY-ᲛᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲐᲒᲝᲠᲛᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲥᲕᲔᲘᲗᲘᲗᲔᲑᲗᲐ ᲙᲝᲠᲯᲣᲚᲗᲐᲜ ᲢᲐᲜᲙᲡᲐᲤᲔᲜᲐᲐᲦᲛᲔᲓᲒᲔᲛᲝ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲡᲐᲢᲧᲝᲠᲪᲘᲡ SMAW II-ᲘᲡ (SHOULDER-LAUNCHED MULTIPURPOSE ASSAULT WEAPON) ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲘᲮᲔ (ᲪᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲚᲐᲛᲘᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲝᲛᲑᲝᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲠᲔ FFE-Ს (FIRE FROM ENCLOSURE) ᲓᲐᲛᲬᲘᲒᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘᲠᲘᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ 51,8 ᲛᲚᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲯᲐᲓᲔᲑᲓᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ NAMMO TALLEY ᲨᲔᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ ᲮᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲚᲔᲥᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲔᲣᲨᲕᲔᲑᲡ SMAW II-ᲘᲡ 18 ᲪᲘᲚᲔᲚ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲗᲐ ᲓᲐ 165 ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲠᲔ FFE-Ს. ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲨᲔᲣᲫᲒᲘᲡ, ᲨᲔᲨᲐᲛᲘᲗᲐᲡ, 130 ᲓᲐ 750 ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘᲠᲘᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲫᲐᲓ 2011 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲬᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲗ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. 83-ᲛᲘᲚᲘᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ SMAW-ᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲥᲕᲔᲘᲗᲗᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐᲨᲘ 1984 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲠᲝ. ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲯᲐᲕᲨᲜᲔᲢᲘᲜᲘᲡ, ᲑᲣᲜᲙᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲪᲘᲪᲮᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲯᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲐ. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ 250 ᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲨᲔᲐᲯᲐᲓᲔᲑᲓᲐ. SMAW-ᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲐ ᲝᲠᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ — ᲛᲘᲠᲝᲚᲔᲚᲘᲡᲒᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲪᲔᲜᲘᲡᲒᲐᲜ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲔᲜᲘ

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ SIKORSKY-ᲛᲐ 27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲔᲜ X2-ᲘᲡ ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ. ᲤᲠᲠᲜᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲝᲛᲔ ᲜᲐᲮᲕᲔᲠ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲥᲝᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ X2-ᲗᲐ ᲞᲘᲐᲠᲣᲚᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ. ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲖᲔ ᲰᲝᲠᲚᲰᲔᲯᲓᲔᲛᲝ, ᲜᲝᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲐ, ᲞᲠᲝᲢᲝᲢᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ SCHWEIZER AIR CRAFT-ᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲗ — SIKORSKY-Ს ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘᲗ. ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲡᲘᲙᲝᲠᲡᲙᲘᲗ“ X2-ᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲖᲔ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 2005 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲐᲪᲝᲐ. ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲞᲠᲝᲒᲔᲥᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲤᲝᲜᲘᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲗᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲜᲘ. ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲗᲐᲗ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲗᲐᲜ 457 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲯᲝᲗᲐᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲘᲫᲔᲑᲔᲗ ᲐᲯᲔᲠᲝᲑᲘᲡ AH-64 APACHE-Ს, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲘ ᲗᲐᲐᲗᲘᲡ 300 ᲙᲛ-ᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲭᲗᲔᲑᲐ. X2-ᲘᲡ ᲛᲐᲡᲐ ᲡᲣᲚ 2400 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲐ, ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘᲐ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲬᲣᲯᲘ ᲮᲠᲐᲮᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲤᲠᲗᲝᲕᲘᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲠᲗᲘᲐᲗ ᲒᲐᲯᲔᲯᲝᲑᲣᲚᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲓᲒᲐᲯᲝ ᲗᲐᲐᲠᲘᲡ ᲮᲠᲐᲮᲜᲘᲗ ᲯᲣᲯᲘᲡ ᲬᲐᲚᲔᲚᲘ. 1400 ᲪᲮ.Ძ.-ᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘᲡ ᲫᲠᲐᲯᲐ ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲔᲜ COMANCHE-ᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ. ᲡᲐᲪᲘᲪᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲘᲠᲘᲗ ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲔᲜ X2-ᲘᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲦᲭᲣᲠᲐᲕᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲘᲛᲔᲑᲘᲗᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲓᲔ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲗ ᲨᲠᲘᲡ AGM 114 HELLFIRE-ᲔᲑᲘᲗ.

ქრემლმა თბილისისკენ „ისკანდერის“ ბალისტიკური რაკეტაც კი ისროლა

თბილისის ახლოს, ვაზიანში დაეცა „ისკანდერის“ 3,8ტ-იანი ბალისტიკური რაკეტა, რომელიც ბაქო-სუფსის ნავთობგამგზისტრალს სულ რაღაც 40მ-ით ასცდა!

Искандер М

რუს სამხედრო აგრესორებს ძნელად თუ გაუგებ – ქართულ მიწაზე ნახევარსაუკუნოვანი Т-62 ტიპის ტანკებითა და БМП-1 ქვეითთა საბრძოლო მანქანებით შემოიჭრნენ, მაგრამ ამსთანავე გასულ წელს შეიარაღებაში მიღებული ულტრათანამედროვე ბალისტიკური რაკეტა „ისკანდერიც“ კი გვესროლეს.

ომის დაწყების პირველივე საათებში ფოთში და ვაზიანთან აფეთქებები მოხდა, თუმცა ამ შემთხვევაში რუსული საბრძოლო ავიაცია არაფერ შუაში ყოფილა.

კრემლმა ამჯერად ქართულ ქალაქებს ბალისტიკური რაკეტები(!) ესროლა, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტური გერმანია „ფაუ-2“ ტიპის პირველი ბალისტიკური რაკეტებით ბომბავდა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქს – ლონდონს და სხვა დასახლებულ პუნქტებს.

ფოთის პორტში და სამხედრო პოლიციის „ნივაზე“ დაცემული ორი რუსული ბალისტიკური რაკეტის დიდებაბარტიანი ფრაგმენტი ქართული ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერ აუფეთქებელი რაკეტები ეგონათ და ტელეეკრანებიდან დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ეს რუსული „ისკანდერები“ იყო.

არადა, ფოთში დარჩენილი რუსული რაკეტების ფრაგმენტების (რომლებიც ძრავის უკანა ნაწილსა და მართვის ორგანოებს შეიცავდნენ) ფოტოზე ერთი დახედვაც საკმარისია იმის დასადგენად, რომ ეს ნაწილები რუსული ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების Точка-У-ს ტიპის ბალისტიკურ რაკეტებს ეკუთვნოდა. ისინი ფოთს რუსებმა, სავარაუდოდ, ონაჩარის მიდამოებიდან ესროლეს. მოგვიანებით თბილისთან ახლოს, ვაზიანის მიდამოებში, აღმოჩენილ აფეთქებისგან წარმოქმნილი დიდი ღრმული, რომელ-

კოსმოსიდან გადაღებულ ამ ფოტოზე წითლად აღნიშნულია ვაზიანში გამავალი ბაქო-სუფსის მაგისტრალი, მის მარჯვნივ, 40 მ.-ში აფეთქდა რუსული „ისკანდერის“ საბრძოლო ქობინი. ლათინური ასოებით აღნიშნულია აფეთქებული რაკეტის ფრაგმენტების ადგილმდებარეობა

„ისკანდერის“ რაკეტის კუდის ნაწილი ვაზიანში

იც ბაქო-სუფსის ნავთობსადენიდან სულ რაღაც 40მ-ში(!) იყო.

იქვე ყველა რაკეტის ფრაგმენტებიც – ერთ-ერთი კუდის ნაწილი იყო, რომელსაც პატარა ფრთები ჰქონდა დამონტაჟებული.

ამ და სხვა ფრაგმენტების ფოტოსურათების მცირე ანალიზიც საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ კრემლს მართლაც ულტრათანამედროვე Искандер-M ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსიდან 3,8ტ-იანი बალისტიკური რაკეტა გვესროლა!

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ რუს აგრესორებს სწორედ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის აფეთქება სურდათ. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება მოსაზრება, რომ ოს და აფაზს სპასრალისტების კრემლი, ძირითადად, იმისთვის იყენებს, რომ გაართულოს საქართველოს ტერიტორიაზე (რუსეთის გვერდის ავლით) გამავალი ნავთობსადენის ნორმალური ფუნქციონირება.

„ისკანდერის“ რაკეტა რუსმა აგრესორებმა, სავარაუდოდ, თავად რუსეთის ტერიტორიიდანვე, კერძოდ, ჩრდილო კავკასიიდან გვესროლეს. „ისკანდერის“ ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 280კმ-ს აღემატება.

ჩვენი დოსიე: ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსი Искандер-M-ი (NATO-ს კლასიფიკაციით SS-26) შედგება თავად რაკეტებისგან, თვითმავალი გამშვები დანადგარისგან, სატრანსპორტო-დამტენი, საშტაბო და სარეგლამენტო-ტექნიკური მანქანებისგან, ასევე ინფორმაციის მომზადების პუნქტისგან.

თვითმავალი გამშვები დანადგარი 42ტ-ს იწონის და მის ძარაში მოთავსებულია ორი, თითოეული 3,8ტ მასის बालისტიკური რაკეტა 9M723, რომლის ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 280კგ-ს აღემატება, მინიმუმი 50კმ-ს შეადგენს.

ეს რაკეტა გათვალისწინებულია როგორც წერტილოვანი დარტყმებისთვის,



„ისკანდერის“ რაკეტა გაშვებამდე

ისე ფართობზე განლეული სამიზნეების განადგურებლად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენება 480კგ-იანი კასეტური საბრძოლო ქობინი, რომელშიც 50-მდე საბრძოლო ელემენტია. კასეტური ქობინი მიზნამდე არმისული 0,9-1,4კმ-ის სიმაღლეზე იშლება და აფრქვევს საბრძოლო ელემენტებს. საბრძოლო ელემენტები აღჭურვილია რადიოამფეთქებლით და მიზნის თავზე 6-10მ-ის სიმაღლეზე ფეთქდება.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ასაფეთქებლად გაუშვეს Искандер-M-ის ის გარანტი, რომელსაც, სავარაუდოდ, 480კგ-იანი მსხვრევად-ფუგასური (ან შეიძლება დდ სიერმენში შემავალი) საბრძოლო ქობინი ჰქონდა.

საერთოდ „ისკანდერის“ რაკეტას ათი სხვადასხვა ტიპის საბრძოლო ქობინი შეიძლება დაუყენდეს (მათ შორის ბირთვული) იმის მიხედვით, თუ რა სახის მიზნის განადგურებაა დასახული.

„ისკანდერის“ რაკეტა სტარტის შემდეგ 50 კმ სიმაღლემდე ადის. მიზანში ზუსტად მოსახვედრად თავდაპირველად გამოიყენება დამიზნების ინერციული სისტემა, ხოლო მიზანთან მიახლოებისას კი უფრო ზუსტად დამიზნებას უზრუნველყოფს ოპტიკური ოვითდამიზნების სისტემა. რაკეტის გაშვების წინ მის სამორეო კომპიუტერში შეჰყავთ მიზნის ციფრული ეტალონი ფოტოსურათი, რომელიც მანამდე დედამიწის სადაზვერვო ხელოვნურმა თანამგზავრმა ან სადაზვერვო ოვითმფრინავმა გადაიღო. მიზანთან დაახლოებისას „ისკანდერის“ დამიზნების სისტემა ეტალონურ სურათს ადარებს იმ მონაკვეთებს, რასაც იმწამში ხედავს მფრენი რაკეტის თავში დაყენებული ოპტიკური სამიზნე.

პრინციპში „ისკანდერის“ დამიზნების ამ სისტემის მოტყუება შეიძლება, თუკი მოასწრეს მიზნის ზემო ხედის სწრაფ შეცვლას. თუნდაც ბუტაფორიული ხეების ან შენობების აღმართვას (თუნდაც გასაპრის), ინტენსიური ბოლის გაშვებაც მიზნის თავზე „ისკანდერის“ მოხვედრის სიზუსტეს შეამცირებს.

ითვლება, რომ დამიზნების ინერციული სისტემის გამოყენებით მოხვედრის სიზუსტე 30-70 მ-ის წრეში ეტყვა, ხოლო დამიზნების ოპტიკური სისტემის გამოყენების შემთხვევაში ეს სიზუსტე 5-7 მ-მდე უმჯობესდება.

ირაკლი ალადაშვილი

„ისკანდერის“ ნახევარტონიანი საბრძოლო ქობინის აფეთქებამ ეს ღრმული ნავთობსადენიდან 40 მ-ში გააჩინა

რუსული ზღვაპარი „პა ფლოტსკი“

რუსულ „მირაჟს“ ქართული ფლოტის მირაჟი მოელანდა და მოლდავურ გემს რაკეტა ესროლა...

რუსული ზღვაპრის მთავარი გმირი „მირაჟი“

ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა „მალაქიტი“

ფოთის მახლობლად 10 აგვისტოს მომხდარი საზღვაო ბრძოლის დეტალები ერი-ი რუსული გამოცემიდან მეორეში ცალკეული დეტალების გაღრმავებით ბეჭდება და კიდევ უფრო მეტ ინტერეს იწვევს.

საბჭოთა (იგივე რუსული) ფლოტს ბოლო საზღვაო ბრძოლა ერიტრეულ მეკობრეებთან გასული საუკუნის 80-ან წლებში ჰქონდა და ახალი თაობის რუს მეზღვაურებს ბრძოლის ჟინი აწუხებთ და ამის გამოვლენის შესაძლებლობა საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ აგრესიაში მიეცათ. ვინაიდან ფაქტობრივად ქართულ ფლოტს მთლიანს არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია, წინააღმდეგობისა და საკუთარი გმირული თავგანწირვა გამოსაგონი გაუხდათ.

თურმე 10 აგვისტოს ფოთის მახლობლად ორ დიდ სადესანტო ხომალდს საზღვაო ქვეითებითა და ტექნიკით შავი ზღვის ფლოტის ორი ხომალდი მიაცილებდა. ამ დროს პატარა სარაკეტო ხომალდ „მირაჟს“ რადიოლოკაციური დაზვერვის საშუალებებით ხუთი სწრაფმავალი სამიზნე შენიშნეს. კატარღები დიდ სადესანტო ხომალდ „ცეზარ კუნიკო

დასკვნების გაკეთების დრო დადგა

მოვიდა დრო, პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ გააანალიზოს, რა მოხდა და გამოიტანოს დასკვნა, რაც უნდა ძნელად მისაღები იყოს ის. უამისოდ არც ქვეყანასა და არც არმიას მომავალი არ ექნება.

აქტიური საბრძოლო მოქმედებები შეჩერებულია. საბრძოლო დანაყოფები უბრუნდებიან მუდმივი დისლოკაციის ადგილებს, ითვლიან დანაკარგს როგორც პირად შემადგენლობაში, ისე შეიარაღებასა და საბრძოლო ტექნიკაში...

ქართული არმია ჭრილობებს იშუშებს იმ რამდენიმედღიანი, მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგ, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან რუსეთის არმიასთან მოუწია.

„ქართული არმია მზადაა შეასრულოს ნებისმიერი საბრძოლო ამოცანა!" – მაღალჩინსანი სამხედროებისგან თუ ქვეყნის პირველი პირებისგან არაერთხელ სახალხო წარმოთქმული ეს ფრაზა, ყოველთვის პროტესტის გრძნობას იწვევდა და არაერთხელ გვითქვამს, რომ ნებისმიერი საბრძოლო ამოცანის შესრულება აშშ-ისა და რუსეთის გაერთიანებულ არმიებსაც კი არ ძალუძთ...

მიუხედავად ამისა, ქართულმა არმიამ იბრძოლა, იბრძოლა გმირულად, რასაც თავად ჩვენი მტრები – რუსი აგრესორებიც აღიარებენ, როდესაც აკვანსტოს მოვლენების გაანალიზება დაიწყეს. რუსული ჯარების ცუდი მართვა, დაზვერვის უუნარობა, ჯაჯანკოლონების გადაადგილებისას წარმოქმნილი დიდი პრობლემები, მოძველებული რადიოკავშირის საშუალებები და ნავიგაციის სისტემების უქონლობა, საჰაერო დაბომბვების უზუსტობა და ა.შ. – ამას რუსი სამხედრო ექსპერტები ხაზს უსვამენ, როდესაც ანალიზებენ რუსეთის არმიის სახმელეთო და საჰაერო დანაყოფების საქართველოში შემოჭრის ჭერიპეტიებს, მაგრამ ეს დღეს ჩვენთვის ნაკლები შეღავათია, ჩვენ ის პრობლემებს უნდა მივხედოთ, რაც ქართული არმიის მართვის სისტემაში გამოჩნდა და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნა.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, თანამდებობიდან გადაყენებულია გაერთიანებული შტაბის უფროსის ერთი მოადგილე, ასევე სახმელეთო ჯარების სარდალი და კავშირგაბმულობის უფროსი. უახლოეს დღეებში მოსალოდნელია სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების შეცვლაც როგორც თავდაცვის სამინისტროში, ისე გაერთიანებულ შტაბში. ჩანს, ცვლილებები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში უკვე დაიწყო, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო არ ახმაურებენ.

მთავარია, ცვლილებები იყოს ობიექტური ანალიზის შედეგი და არ იყოს განპირობებული პირადი დაპირისპირებითა თუ ვინმეზე ჯოხის გადატეხის მიზნით.

ფაქტია, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებია გასატარებელი. ბევრი პროფესიონალი სამხედრო, რომელიც გასულ წლებში შეიარაღებული ძალებიდან უკანონოდ დათხოვეს, დასაბრუნებელია...

დეტალურად უნდა გაანალიზდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობის – სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო (საჰაერო თავდაცვის ჩათვლით) და სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობების მოქმედებების აღიკვეტურობა და პროფესიონალიზმის დონე და მიეცეს მათ მოქმედებას შესაბამისი ობიექტური შეფასება.

ანალოგიური კვლევა ჩასატარებელია თითოეული ბრიგადის, ბატალიონის, ასეულის, ოცეულისა და აოეულის დონეზეც.

ეს ძალზე შრომატევადი და რთული საქმეა, მაგრამ აუცილებელია, თუ გვინდა გვყავდეს მართლაც ბრძოლისუნარიანი ქართული არმია!

ირაკლი ალადაშვილი

ას ათი აუფეთქებელი რუსული ბომბი შენელებული მოქმედების ნაღმად იქცა

ქართველმა მენადმეებმა რუსი საჰაერო აგრესორების ჩამოყრილი, მაგრამ აუფეთქებელი საავიაციო ბომბები გაანადგურეს

რუსმა საჰაერო აგრესორებმა თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ქართულ მწვანე (მთ შორის დასახლებულ პუნქტებს) ათასობით ბომბი დააყარეს (მთ შორის, კასეტური ბომბები) და ასობით რაკეტა ესროლეს.

ფაშისტური კრეტლი ისევე იქცეოდა, როგორც ოდანდაზ 1979-89 წლებში და 1994-96 და 1999-2002 წლებში ჩეჩნეთში.

რუსი ოკუპანტების თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი საავიაციო ბომბებიდან 100-ზე მეტი არ აფეთქებულა. ერთი მხრივ, ეს კარგიც იყო, რადგან შემდგომან მოსახლეობაში დამატებით მსხვერპლს გადავრჩით. მეორე მხრივ, რუსული საავიაციო ბომბები იქცა შენელებული მოქმედების დიდი სიძლავრის ნაღმებად, რომლებიც ყოველ წუთში შეიძლება აფეთქებულიყო.

ქართველმა მენადმეებმა სენაკის სამხედრო აეროპორტთან 64 აუფეთქებელი რუსული საავიაციო ბომბი დათვალეს, 36 ასეთივე ბომბი ვაზიანის, ხოლო 10 კი მარნეულის აერიდრომების ახლოს ეყარა.

აუფეთქებელი ბომბების უმეტესობა 500 კგ კალიბრის (საავიაციო ბომბების კალიბრს

აუფეთქებელი ბომბის გასაუვნებლად ქართველმა მენალმეებმა ზემოდან ტროტილით სავსე ტომრები დააწყვეს და ააფეთქეს

აფეთქების შედეგად დარჩენილი ღრმული

კილოგრამებში განსაზღვრავენ და არა მილიმეტრებში) ФАБ-500ТС იყო, რომელიც ამბობენ როგორც „ფუძასური საავიაციო ბომბი – 500 კგ კალიბრის – სქელკედლიანი“.

სქელკედლიანი საავიაციო ბომბები, ძირითადად, ზებეგრითი ბომბდამშენების შეიარაღებაში შედის. მაგალითად, Су-24М-ისა და Ту-22М3-ის ბომბის წინა სქელი კედლის დანიშნულებაა ზებეგრითით სიჩქარით წარმოქმნილი გადახურების უკეთ გადატანა. თუ სქელკედლიანი საავიაციო ბომბი მიწაზე დაცემისას არ აფეთქდა, ის ღრმად ჩადის გრუნტში, თითქმის 3-5მ სიღრმეზე. აქედან გამომდინარე, მიწაში ღრმად ჩაფლული ბომბის გაუვნებლება არაერთ სიძნელესთან არის დაკავშირებული და ესეც ურთულებდა მუშაობას ქართველ მენალმეებს.

რუსმა აგრესორებმა ჩრდილო კავკასიის სამხედრო აეროდრომებიდან გამფრენის წინ საავიაციო ბომბებს შენელებული



აუფეთქებელი რუსული ბომბი მიწაში 5 მ-ის სიღრმეზე ჩავიდა

საქართველოს დასაბომბად გამზადებული რუსული Су-25

მოქმედების ამფეთქებლები – АВПЗ-ები დაუყენეს.

ელექტრონული ამფეთქის მექანიზმი მაქსიმალურ, 144სთ-ზეა დაყენებული და ამ დროის განმავლობაში ბომბი შეიძლება ნებისმიერ დროს აფეთქდეს. გარდა ამისა, ამფეთქში მოთავსებულია ორი რკინის ბურთულა, ბომბის შერხევისას ბურთულები მცირედით გადადგილდებიან, ერთმანეთს შეეხებიან, იკვრება ელექტრონული წრედი და ბომბი ფეთქდება. 1993 წლის მარტში სოხუმში აუფეთქებელი რუსული ბომბის გადატანისას და განადგურებისას მომხდარ აფეთქებას 8 ქართველი მენამღე და 4 ჟურნალისტი შეეწირა. იმ ბომბსაც АВПЗ-ს ტიპის შენელებული მოქმედების ამფეთქი ჰქონდა.

ირაკლი ალადაშვილი

მითი ცხინვალის განადგურების შესახებ

ჯოსმოსურმა გადაღებებმა ცხადყო, რომ ცხინვალზე მეტად ახლომდებარე ქართული სოფლები განადგურდა

საერთაშორისო ორგანიზაცია UNOSAT-მა ცხინვალისა და მის ახლომდებარე სოფლების დეტალური კოსმოსური ფოტოგადაღება აქტიური საბრძოლო მოქმედებების დამთავრებისთანავე დაწყო.

კოსმოსურმა ფოტოგადაღებებმა ცხადყო, რომ ცხინვალსა და მის ახლოს სულ 438 სახლია დანგრეული, მათგან 346 მთლიანად, 92 – ნაწილობრივ. ყველაზე მეტი – 177 სახლი მთლიანად არის განადგურებული ქართულ სოფელ თამარაშენში, ისევე როგორც ერგნეთსა და ზემო ნიქოზში.

რუსულ-ოსურმა დეზინფორმაციის მანქანამ ომის დაწყებისთანავე აქცინ მთელ მსოფლიოს, რომ ქართველებმა საარტილერიო ცეცხლით თითქოს პირისაგან მიწისა აღგავეს ცხინვალი და ოს ხალხს გენოციდი მოუწყვეს. კოსმოსური ფოტოგადაღება საპირისპიროს მოწმობს – თამარაშენსა და სხვა ქართულ სოფლებში ოსი სეპარატისტები საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შემდეგაც წვავდნენ, ანგრევდნენ და ტრაქტორებით ასწორებდნენ მიწასთან ქართველთა სახლებს, სწორედ ოსმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა მოუწყვეს გენოციდი ქართველებს. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებმა განაცხადეს, ცხინვალის მხოლოდ 10% თუ დანგრეული, რაც ნამდვილად არ ნიშნავს ქალაქის მთლიანად დანგრევას.

UNOSAT-ის მიერ გამოქვეყნებულ ამ კოსმოსურ ფოტოსურათზე წითლად არის აღნიშნული სრულიად დანგრეული შენობები, ხოლო ყვითლად ნახევრად დანგრეული. UNOSAT-მა კოსმოსური ფოტოსურათი მთელ ცხინვალის რეგიონზეც რომ გამოაქვეყნოს, დანგრეულ ქართული სოფლების რეალური ტრაგიკული სურათი გამოჩნდება.

ირაკლი ალადაშვილი



დაისვენეთ BOMBARDIER - თან ერთად
№1 ბრენდი დასვენებისთვის

Ski-Doo® თოვლმავლები.
Sea-Doo® ჰიდროციკლები.
Evinrude® წყლის ძრავები.
Johnson® კატერები.
Rotax® ძრავები.
Can-Am™ კვადროციკლები.

Imagine, Discover, Ride

შპს "ემ-პი-ხი" *Bombardier Recreational Products* ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
ტელ: + 995 32 22 40 40
მობ: + 995 99 29 09 92

ოპერაცია „საქართველო-2008"

სხვა ქვეყნებში ხელისუფლებისა თუ პოლიტიკური სისტემის შესაცვლელი აგრესიული ომები საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. ჩვეულებრივ, ინტერვენცია ინტერნაციონალური დახმარებით ან მშრომელთა „თხოვნით" ინიღბებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისი მსხვერპლი სხვადასხვა წელს სუვერენული უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და ავღანეთი გახდნენ.

აგრესორების ჯავშანტექნიკა ცხინვალის მახლობლად

თანამედროვე რუსული სამხედრო მანქანა დღესაც აგრძელებს საბჭოთა დროის ტრადიციას – პოლიტიკური მიზნის მისაღწევად მოსკოვი ისევ უხეშ სამხედრო ძალას იყენებს, რომლის სისასტიკე ადრეულ წლებში საქართველოსაც არაერთგზის უწვნევია.

ბოლო დროს მიღებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ეროვნული სამხედრო სტრატეგია და სხვა დოკუმენტები ჩრდილოეთი მეზობლისგან პირდაპირი სამხედრო აგრესიის შესაძლებლობას დაბალ ალბათობად განიხილავდა.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ საჭირო ამ შეხედულების გადახედვა და შეფასებების არსებული რეალობის გათვალისწინებით გაკეთება.

მოსალოდნელი აგრესიის შესაძლო ფორმებსა და მიზეზებზე მინიშნებებს მოსკოვი იმ სწავლებებთაც აკეთებდა, რომელსაც რუსეთის არმიის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქი საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ახლოს ბოლო რამდენიმე წელია რეგულარულად ატარებდა.

2006 წლის ივლისში ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე 58-ე არმიის, მე-4 საჰაერო არმიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებმა ოლქის სარდლის, გენერალ ალექსანდრ ბარანიკოვის ხელმძღვანელობით მასშტაბური სწავლება „კავკასიჩსკი რუბეჟი" ჩაატარეს.

სწავლებაში სახმელეთო, საავიაციო, საჰაერო-სადესანტო, საზღვაო ქვეითი ჯარის შენაერთები და ქვედანაყოფები, კასპიის ზღვის ფლოტილიის ხომალდები მონაწილეობდნენ. 6000 სამხედრო მოსამსახურეს მხარდაჭერას 190 ჯავშანტრანსპორტიორი, 30 ტანკი, 30 თვითმფრინავი და 10-ზე მეტი ზვეულმფრენი უკეთებდა.

მოსკოვის ოფიციალური განცხადებით, სწავლებაზე მეზობელი საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან ბოვეიკთა შემოსვლის აღკვეთისა და მესაზღვრეებისათვის დახმარების გაწევის ამოცანები დამუშავდა.

სწავლების დროს რამდენიმე ქვედანაყოფი ავიაციის მხარდაჭერით როკის გვირაბისა და მამისონის უღელტეხილის, ზემო ზარამაგისა და ქვემო ლარსის მიმართულებებთან გადადგილდა, სადაც საქართველოს საზღვრების ახლოს უკანონო შეიარაღებული ფორმირებებზე შეტევის, ბლოკირებისა და განადგურების ამოცანები დაამუშავეს.

ერთ-ერთი დავალება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში რუს მშვიდობისმყოფელთათვის დახმარების გაწევას ითვალისწინებდა და დავალების შესასრულებლად ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის 700 მედესანტემ როკის მიმართულებით მარში შეასრულა.

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის პრესსამსახურის ინფორმაციით, სწავლების სცენარით მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებები არ იგეგმებოდა.

ოლქის ყოფილმა სარდალმა, გენერალმა იური ნეტკაჩევმა კი სწავლების ჩანაფიქრის მიხედვით სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე ჯარების ვირტუალური მოქმედებები არ გამორიცხა.

2007 წლის 7-17 ივლისს კიდევ ერთი დიდი ე.წ. ანტიტერორისტული სწავლება 58-ე არმიის, მე-4 საჰაერო და საჰაერო თავდაცვის არმიის, მე-7 სადესანტო-მოიერიშე დივიზიის, შინაგანი ჯარებისა და სასაზღვრო რეგიონული სამმართველოს დანაყოფთა მონაწილეობით ჩატარდა.

სწავლებაში 6 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 250 ტანკი, ქვეითთა საბრძოლო მანქანა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 30 თვითმფრინავი და ზვეულმფრენი მონაწილეობდა.

დამუშავდა რუსეთის სამხრეთ ნაწილზე ბოვეიკების მასირებული რეიდების აღკვეთის, სახელმწიფო საზღვრის გადაკეტვის, მთებში ბლოკირებულ ტერორისტთა მსხვილი ბანდების განადგურების ამოცანები.

სწავლებას საავიაციო მხარდაჭერას სატრანსპორტო Ил-76-ები, ბომბდამშენი Су-24М-ები, გამანადგურებელი Су-27-ები, მოიერიშე Су-25-ები, ზვეულმფრენი Ми-8-ები და Ми-24-ები უწევდნენ.

ავიაცია უზრუნველყოფდა ტვირთის გადატანას, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დესანტირებას, დაზვერვასა და საჰაერო-სახმელეთო სამიზნეების განადგურებას. დასკვნითი ეტაპი პოლიგონებზე რაკეტებისა და ბომბების პრაქტიკული

აგრესორები ცხინვალის ქუჩებში

სროლით დასრულდა.

სწავლების თაობაზე რამდენიმე კომენტარი გაკეთდა. ოლქის საინფორმაციო და საზოგადოებასთან კავშირის სამსახურის უფროსის განცხადებით, სწავლებას ნაწილდები მოწინააღმდეგეები ჰყავდა ტერორისტებისა და ბოევიკების სახით, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში სამხრეთიდან შემოვიდნენ.

ზოგიერთი რუსი ექსპერტის შეფასებით სწავლება საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული და ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 13 ივლისს ერთ-ერთი კოლონა სამხრეთ ოსეთისკენ დაიძრა და მამისონის უღელტეხილის მიდამოებში პოზიცია დიაკავა. მოგვიანებით გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომ სწავლებას სამხრეთ ოსეთის გარშემო შექმნილ მდგომარეობასთან კავშირი არ ჰქონდა.

15 ივლისს სწავლება „კავკაზ-2008“ დაიწყო, რომელმაც თვის ბოლომდე გასტანა. მასში 8 ათასი სამხედრო, ჯავშანტექნიკის 700 ერთეული და 30 თვითმფრინავი და შვეულმფრენი მონაწილეობდა. დიდი ყურადღება დაეთმო შეიარაღებულ კონფლიქტებში სპეციალური ოპერაციებით მხარეთა მშვიდობისათვის იძულებას. ამ ამოცანების შესრულებას ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქისა და შავი ზღვის ფლოტის ქვედანაყოფები უშუალო ჩარევით უზრუნველყოფდნენ.

რუსი სამხედროები თითოეულ სწავლებაზე საქართველოს წინააღმდეგ სამოქმედო ზომებთან ერთად ქართულ შეიარაღებულ ძალებზე ზემოქმედების და დათრგუნვის ამოცანებს სრულყოფდნენ.

მეზობელი ქვეყნის სამხედრო ექსპერტები საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობას დაბალ შეფასებას აძლევდნენ და საჰაერო თავდაცვის ერთობ შეზღუდულ შესაძლებლობებს გამოყოფდნენ.

საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში რუსეთი ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის მუდმივი მზადყოფნის შენაერთების გამოყენებას გეგმავდა. ასეთი შენაერთებია: მე-19 ვლადიკავკაზის, მე-20 ვოლგოგრადისა და 42-ე ჩეჩნეთის მოტომსროლელი დივიზიები, მე-7 ნოვოროსიისკის სადესანტო-მოიერიშე დივიზია და 131-ე მაიკოპის მოტომსროლელი ბრიგადა. ოლქის სახმელეთო ჯარების განკარგულებაში დაახლოებით 620 ტანკი და რამდენიმე ათასი ჯავშანტრანსპორტიორი იყო.

მუდმივი მზადყოფნის შენაერთები პირდაპირ შემადგენლობითა და შეიარაღებით სრულად არის დაკომპლექტებული და საბრძოლო მდგომარეობაში გადასასვლელად მცირე დრო ესაჭიროება.

გავრცელებული ინფორმაციით, ღამით 7-დან 8 აგვისტოს როკის გვირაბისაკენ პირველი მე-19 მოტომსროლელი დივიზიის 135-ე პროხლადნის მოტომსროლელი პოლკის გაძლიერებული ორი ბატალიონი არტილერიისა და ტანკების თანხლებით დაიძრა. ეს ძალები დაახლოებით 1500-1600 კაცს ითვლიდა და კოლონა 30 ტანკის, 100-ზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორის, 12 თვითმავალი-საარტილერიო დანაგვარისა და რამდენიმე ათეული სატვირთო ავტომობილისაგან შედგებოდა.

8 აგვისტოს სოფელ ვანელიდან ჩრდილოეთით 3 კილომეტრში ჰაუბიცების თვითმავალი საარტილერიო დივიზიონი განლაგდა და ქართული პოზიციების დამუშავების შეუდგა, მაგრამ საპასუხო ცეცხლიც საკმაოდ ძლიერი გამოდგა.

იმავე დღეს, დილიდან, რეგიონში რუსული ავიაცია რეგულარულ საჰაერო დარტყმებზე გადავიდა და სამიზნეებზე მფრინავების გასაყვანად ავიამიმმართველდამკვირვებლებს იყენებდნენ.

ცხინვალისაკენ უკვე მიემართებოდნენ მე-19 დივიზიის 503-ე და 693-ე მოტომსროლელი პოლკები, 141-ე ცალკეული სატანკო ბატალიონი, ანუ დივიზია მთელი თავისი შემადგენლობით ბრძოლაში ჩაერთო.

ჩეჩნეთიდან დაიძრნენ 42-ე მოტომსროლელი დივიზიის 70-ე და 71-ე მოტომსროლელი პოლკები, აგრეთვე ჩეჩნი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეებით

ჩეჩნური ბატალიონის „ვოსტოკის“ БМП

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲕᲝᲡᲢᲝᲙᲘ“ ᲛᲐᲠᲨᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

დაკომპლექტებული იმავე დივიზიის ცალკეული ბატალიონების „ᲕᲝᲡᲢᲝᲙᲘᲡᲐ“ და „ᲖᲐᲰᲐᲓᲘᲡ“ გაძლიერებული ასეულები.

რუსებმა არ დაივიწყეს და საბრძოლო მოქმედებებში ოსების ბატალიონი „ᲑᲔᲚᲡᲐᲜᲘᲪ“ ჩართეს.

8 აგვისტოს საღამოს ᲑᲔᲚᲡᲐᲜᲘᲡ აეროდრომზე რუსეთის სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის თვითმფრინავებმა 76-ე ფსკოვის საჰაერო-სადესანტო დივიზიის ბატალიონი საშტატო შეიარაღებითა და ტექნიკით გადმოიყვანეს. 10 აგვისტოს დილით ფსკოველი პარაშუტისტები როკის გვირაბიდან კონფლიქტის ზონაში შემოვიდნენ. პარალელურად მიმდინარეობდა 98-ე ივანოვოს საჰაერო-სადესანტო დივიზიისა და 45-ე ცალკეული საჰაერო-სადესანტო სადაზვერვო პოლკის ქვედანაყოფთა შემოყვანა.

მოტომსროლელთა სიმაცრის შესავსებად რუსულმა გენერალიტეტმა ომში არმიის ყველაზე მომზადებული ნაწილი – პარაშუტისტთა ქვედანაყოფები გამოიყენა.

სავარაუდოდ, რუსეთის არმიის დაჯგუფება 12 ათასიდან 14 ათასამდე სამხედრო მოსამსახურესა და დაახლოებით 650-ზე მეტ ჯავშანმანქანას (БМП-2, БТР-80, МТ-ЛБ და სხვა), 100-მდე მედესანტეთა საბრძოლო მანქანა БМД-2-ს, 150-მდე ტანკს (Т-62, Т-72), ასამდე სხვადასხვა სისტემის თვითმავალ საარტილერიო დანადგარსა და რამდენიმე ასეულ სხვადასხვა დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებას ითვლიდა.

ეორის გადასახვევიდან ცენტრალურ ავტომაგისტრალზე გამოსული Т-62-ის ტიპის ტანკები, ალბათ, ოსურ ბატალიონ „ᲑᲔᲚᲡᲐᲜᲘᲡ“ ეკუთვნოდა.

რუსეთის არმიის ეს დაჯგუფება ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ოფიციალურ ჩვენურ და ოსურ ფორმირებებთან ერთად სამხედრო მოსამსახურეთა შორის მრავლად იყვნენ სხვა ჩრდილოკავკასიური ერების წარმომადგენელნი.

როგორც ჩანს, მოსკოვი ნელ-ნელა მეფის რუსეთის დროინდელი კავკასიური „ᲙᲣᲚᲣᲠᲘ“ ცხენსანი დივიზიის ტრადიციების აღდგენას ცდილობს, რომელიც მოხალისე ჩრდილოკავკასიელებისაგან იყო დაკომპლექტებული და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

დასავლეთ საქართველოს მიმართულებით დაწყებულ აგრესიაში მე-7 ნიკოროსიისკის სადესანტო-მოიერიშე დივიზიისა და კონფლიქტის ზონაში ᲥᲣᲚᲘᲡ მყოფი 131-ე მაიკოპისა და მე-15 სამარის მოტომსროლელი ბრიგადების ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ.

აგრესიის დაწყებამდე აფხაზეთში „საშვიდობო“ მისიით 131-ე ბრიგადის ორი, მე-15 ბრიგადის ერთი და 247-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის ერთი ბატალიონი, ანუ დაახლოებით 2400 სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა.

10 აგვისტოს შუადღისათვის აფხაზეთში სოხუმთან მდებარე ბაბუშერის აეროდრომზე ნოვოროსიისკიდან სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებმა მე-7 დივიზიის გაძლიერებული 4 ბატალიონო დაჯგუფების პირადი შემადგენლობა გადმოიყვანეს.

მედესანტეთა საბრძოლო მანქანების ერთი ნაწილი წინასწარ ოჩამჩირეში სარკინიგზო შემადგენლობებით შემოვიდა, ხოლო მეორე კი შავი ზღვის ფლოტის სამმა დიდმა სადესანტო ხომალდმა შემოიყვანა.

სულ რუსეთის არმიის დაჯგუფება დასავლეთ საქართველოში დაახლოებით 9 ათას სამხედროს ითვლიდა და ჰაჯავლა 400-მდე მედესანტეთა საბრძოლო მანქანა БМД-2, 50-ზე მეტი 120 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С9 „Нона-С“, 100-ზე მეტი სხვადასხვა სახის ჯავშანტრანსპორტიორი და რამდენიმე ასეული სატვირთო ავტომობილი.

პირში მოწინააღმდეგის ავიაციის ბასოლუტური ბატონობის პირობებში ასეთი მრავალრიცხოვანი დაჯგუფების განადგურება მხოლოდ სახმელეთო საშუალებებთ ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა, რომლის რესურსები საქართველოს არ გააჩნდა.

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲘᲩᲐᲜᲘᲫᲔ

ᲯᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპრალის დაბადების დღე რეანიმაციაში და სნაიპერის ტყვიას გადარჩენილი ლეიტენანტის ამბავი

დრო მართლაც ყველაფრის მკურნალი ყოფილა. ახლაც ავიხსნით, რატომ ვამბობ ამას. „არსენალის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ ინტერვიუ რამდენიმე დაჭრილ ჯარისკაცთან. მაშინ ცეცხლი ახლი შეწყვეტილი იყო. ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ტრავმისგან დათრგუნულ მეომრებს ეურნალისტებთან საუბარი არ სურდათ. იმ დღესაც იმედი არ გვქონია, რომ რაღ გამოგვიდგება, მაგრამ ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივედით და... არც ერთ ჯარისკაცს ინტერვიუზე უარი არ უთქვამს. სიტყვა რომ არ გავაგრძელდეს, დავსხდით ერთ დიდ ნაულ პალატაში ხელ-ფეხ და თავშეხვეულ ჯარისკაცებთან ერთად და სასაუბროდ მოვემზადეთ.

ჯარისკაცების ნაამბობი ძალზე მძიმე მოსასმენი იყო.

თორმე რუსები და ოსი სპარატისტები ჩვენს დაჭრილ მებრძოლსაც კი არ ინდობდნენ. მაშინ, როცა რუსებს დაჭრილების გასაყვანად სამსათიანი მორატორიუმი გამოუცხადეთ, ჰოსპიტალისკენ მიმავალ ჩვენს მეომრებს სნაიპერის ტყვია მისდევდა. მოწამაღმდგე რომ აკრძალულ ადგილს ეძებდა, ალარ გეკვირის, ეს რუსი სარდლობის კადაწყვეტილება იყო, მაგრამ დაჭრილების დახოცვა აშკარად ქართველთა სიძულვილზე მეტყველებს. ალბათ, რუსები იტყვიან, ომში ყველა საშუალება გამართლებულია. მთავარი ის არის, რა იგნები ხვალ. მანამდე კი ამ უთანასწორო ბრძოლაში თავდადებული მებრძოლების რაზდენიმე ამბავს გთავაზობთ. ერთ-ერთი იმ ბატალიონის ოცმეთაური, რომელზეც ომის დაწყებიდან მეორე დღეს თქვეს, მხოლოდ 5 კაცი გადარჩა. მეორე რესპონდენტი ლოგისტიკის სამსახურის კაპრალია, რომელსაც ჯარში კონტრაქტით სამსახური 4 თვის დაწყებული ჰქონდა. ეკ ბორის დაბომბვისას ფაზარაში აფეთქდა და 33-ე დაბადების დღეს უცონდ, აპარატს მიერთებული შეხვდა.

— მეითხე ბრიგადის 42-ე ბატალიონის ოცმეთაონი, წოდებით ლეიტენანტი ვარ. ჩვენი ბატალიონი სხვა რამდენიმესთან ერთად ომის დაწყების პირველივე დღეს გაგზავნეს ცხინვალის მიმართულებით. კონფლიქტის ზონაში ქარელიდან შევედით. 7 აგვისტოს, ღამის 11-12 საათზე, ჯერ არტილერიამ დაბომბა ტერიტორია და მერე ჩვენ, ქვეითები მივედეთ ფეხით. ჩვენ წინ სატანკო ბატალიონი მიდიოდა. გავიარეთ ქართული სოფლები ბრეთი, ავნევი და კიდევ რამდენიმე სოფელი, მათ უკვე ოსური სოფელი ხეთაგუროვო მოსდევდა, სადაც პატარა შეტაკება მოხდა. ხეთაგუროვოდან ცხინვალის შესასვლელამდე კიდევ 7 პატარა სოფელი იყო, რომლებიც უდანაკარგოდ ავიდეთ. გამოენიისას ცხინვალის შესასვლელს მივუახლოვდით. ტრაფარეტი წარწერით — ЦХИНВАЛ გავიარეთ, იქვე, ნაძენარში განვთავსდით და დავიწყეთ შეტევა ცხინვალზე. ერთი ასეული შესული იყო ქალაქის სიღრმეში, შუა ქალაქში უკვე ჩვენები ჩანდნენ.

— როგორც ამბობენ, ცოცხალი ძალის ყველაზე დიდი დანაკარგი თქვენმა, 42-ე ბატალიონმა განიცადა.

— ომი იყო და, ბუნებრივია, დაჭრილიც ბევრი იქნებოდა და დალუპულიც, ზუსტი რიცხვის დასახელება შეუძლებელია, რადგან ზოგი დაკარგულად ითვლება. ამაზე გაცილებით მეტნი გადავრჩით, ვიდრე მტრის ბომბდამშენის პილოტი ვარაუდობდა.

— თქვენთან ერთად რომელი ბატალიონი დაიბომბა?

— 41-ე, ხეთაგუროვოსთან იყო დისლოცირებული.

— მტერი დიდ წინააღმდეგობას გიწევდათ?

— თავიდან არა. ოსური სოფლები მცირე შეტაკებებით გავიარეთ. ცხინვალშიც, ძირითადად, სნაიპერები მუშაობდნენ. 8 აგვისტოს, შუადღისას, დაბომბვა დაიწყეს და მაშინ კი ვიგრძენით ომის გემი. ხეებში ვიყავით შემალული. მანქანების კოლონა იდგა ახლოს, ის შეამჩნიეს და პირველად მას ესროლეს. სულ ორი ბომბი ჩამოგდეს, მაგრამ დიდი მსხვერპლი მოჰყვა. გონს რომ მოვედი, ირგვლივ მკვდრები და დაჭრილები ეყარნენ.

— რამდენი კაცი დაიჭრა და დაიღუპა იმ დღეს?

— დანამდვილებით ვერ ვეტყვით. საკმაოდ ბევრი... ჩემთან ერთად სამი კაცი წამოიყვანეს. სამნი შედარებით მსუბუქად ვიყავით, ერთი ძალიან მძიმედ იყო დაჭრილი, არ ვიცი, ახლა მკვდარია თუ ცოცხალი. მე ესეც არ მაკმარეს. მანქანის ძარის კედელზე ზუროვი ვიყავი მიყრდნობილი და ამ დროს სნაიპერის ტყვია მომხვდა ცხვირში, სულ რაღაც ორმა მილიმეტრმა მიშველა, თორემ ახლა ცხვირი არ მექნებოდა. ნაკერები ორი დღის წინ ამოხსნეს. მანქანა სულ დაცხრილული იყო, ძლივს გამოვაღწიეთ სამშვიდობოს. გზაზე პირველი ბატალიონი შეგვხვდა, სადაც კარგ მანქანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამყვანეს და ქარელის საავადმყოფოში მიმიყვანეს.

— ავეთქების ადგილზე სანინსტრუქტორები მუშაობდნენ?

— სანიტრები მუშაობდნენ... იმ დაბომბვის დროს ერთ ექიმს ხელი ჰქონდა მოგლეჯილი, სანიტარი კი ფეხში იყო დაჭრილი, ისიც ჩემთან ერთად წამიყვანეს. ერთ სანინსტრუქტორს დაჭრილი გამოჰყავდა და სნაიპერმა მოკლა. ქარელში მხოლოდ პირველადი სამედიცინო დახმარება გამიწიეს და ღამით თბილისში, რესუსულიკურ საავადმყოფოში გადმომიყვანეს.

— ახლა როგორ გრძნობთ თავს?

— ჭრილობები მიხორცდება, მოტეხილობების შეხორცებას ცოტა დიდი დრო დასჭირდება. როგორც ექიმები მეუბნებიან, არც კოჭლობა მემუქრება და არც დეფექტები დამრჩება.

— მწყობრში როდის დაბრუნდებით?

— ალბათ, თვე-ნახევარში... აუცილებლად დავუბრუნდები ჯარს, ისევ დადგები ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე. ჩვენს შეიღებს გამთლიანებული საქართველო უნდა ჩავუბარო.

შესაფერი ოპტიმიზმი ჰქონდა იმ კაპრალსაც, რომელიც საუბრისას ძლივს სუნთქავდა, რადგან მუცლის ღრუს ურთულესი ოპერაცია ორი დღის გადატანილი ჰქონდა:

— ჯარში 4 თვის მისული ვიყავი კონტრაქტით. ლოჯისტიკის სამსახურში საინჟინრო ბატალიონის კაპრალი ვარ. ჩვენი ბაზა გორშია განთავსებული, სატანკო ბატალიონის ჯვარდით. გარდა საინჟინროსი, ჩვენთან არიცხება გამნაღმელთა, უშუალო უზრუნველყოფისა და სხვა ბატალიონები, სულ ექვსი ბატალიონია. ჯერ წამოდგენ, ბიჭები როგორ მუშაობენენ და როგორი მობილიზებული იყვნენ. ტყეკაწამალი, საკვები ზუსტად დანიშნულ დროს მიდიოდა ფრონტის ხაზზე. ოღონდ ჩვენ მისადგომებამდე მიგვყავნდა ეს ყველაფერი, შემდეგ თვითონ გადაჰქონდათ. საწვავის გადამზიდი „კრაზები" მოშორებით შეუფარველ ადგილებში იდგა, რადგან სახიფათო იყო, ავიაციის პირველი სამიზნე ხომ სწორედ ლოჯისტიკის მანქანებია.



— ომის დაწყებისას დრეს ეს სად იყავით?

— ზნაურის მხარეს. 8 აგვისტოს, შუადღისას ტყეკა-წამლისათვის ნაწილში წამოვედით რამდენიმე კაცი. ჩვენი ყაზარმაში შესვლა და ბომბის ჩამოვარდნა ერთი იყო. ეს იყო გორის სულ პირველი დაბომბვა. ჩვენთანაც კასეტური ბომბები ჩამოყარეს.

— ავეთქებისას ბაზაში ბევრნი იყავით?

— ძირითადი შემადგენლობა ფრონტის ხაზზე იყო გადასროლილი. დარჩენილი იყვნენ მორიგეები და სარემონტო ჯგუფის 10-15 კაცი. ყაზარმაში ჩემთან ერთად ორი კაცი იყო. როცა შედარებით ჩაწყნარდა სიტუაცია, მე თვითონ გამოვედი ყაზარმიდან. დღესაც არ ვიცი, ეს როგორ მოვახერხე, ძალიან ძმიმედ ვიყავი დაჭრილი, — ბომბის ნამსხვრევები მომხვდა ფილტვში, ფეხში, მუცელში...

— რამდენი ოპერაცია გადაიტანე?

— არც კი ვიცი, იმდენად ძმიმედ ვიყავი. რამდენიმე ოპერაცია დამჭირდა. პირველად გორის ჰოსპიტალში მიმიყვანეს. გონს რამდენიმე დღის შემდეგ უკვე ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში მოვედი, სადაც ურთულესი ოპერაციები გამიკეთდა. მერე რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმომიყვანეს. ბოლო ოპერაცია რამდენიმე დღის წინ გამიკეთდა, ღვიძლის უკანა მხრიდან ნამსხვრევები ამომიღეს. ლუდუშაურში აპარატზე 4 დღე ვიყავი მიერთებული. 10 აგვისტოს დაბადების დღე მჭირდა, 33 წლის ისე გავხდი, არაფერი გამეგია, გონს არ მოვსულვარ. ეერასდროს დავივიწყებ სამედიცინო პერსონალის პატივისცემას, — სიცოცხლე მაჩუქეს.

— კონტრაქტს გააგრძელებთ?

— აუცილებლად, ჩვენი სამსახურით იმ ბიჭების ხსოვნას უნდა მივაგოთ პატივი, რომლებმაც საშობლოსათვის თავი გაწირეს. ახლა უკვე კარგად ვარ. მართალია, სიარული ჯერ ისევ მიჭირს, მაგრამ ეგ არაფერი. ექიმები მეუბნებიან, სრულად გამოსაჯანმრთელებლად რამდენიმე თვე დაგჭირდებაო, მტრის ჯიბრზე ამაზე ჯანმრთელი გამთვალ აქედან, ვიდრე ვიყავი. ჯარში აუცილებლად დავბრუნდები.

P.S. მათ, ვისაც იმ დღეებში სახლიდან ცხვირი არ გამოუყვიათ და არ განუცდიათ ომის საშინელება, უფლება არ აქვთ შეცდომებზე ილაპარაკონ, არ აქვთ უფლება თქვან, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი დაკარგულია, რომ ჩვენმა არმიამ ომი წააგო. ეს იმ მებრძოლების შეურაცხყოფაა, რომელთაც სიცოცხლე არ დაიშურეს სამშობლოსთვის. ქართველმა ჯარისკაცებმა თავისი წილი ომი მოიგეს!

ნინო მამუკაძე

პალიტრა L ამბავდებს წიგნი გამოსაცემად, სადაც იქნება ასახული 2008წ.

ოკუპაციის ფაკტები. ეს წიგნი თქვენთან ერთად უნდა მოგზავდეს.

გთხოვთ 12 სექტემბრამდე, მოგვაწოდოთ ამ პერიოდთან დაკავშირებული

თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია და ფოტომასალა, შემდეგ

მისამართზე: იოსებიძის №49 ან ელ. ფოსტით: book@kvirispalitra.com

სამხედრო-საველე ქირურგია

ზოგადი ქირურგიისაგან განსხვავებით სამხედრო-საველე ქირურგია ამუშავებს დაჭრილების მკურნალობის მეთოდებს საბრძოლო მოქმედებების პირობებში. ამ დროს მთავარი აქცენტი გადატანილია დაჭრის შემდეგ მებრძოლის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ევაკუაციაზე – დასაწყისში საველე ჰოსპიტალში, შემდეგ კი ზურგში.
სამხედრო ქირურგი არა მხოლოდ ფართო პროფილის ქირურგი, არამედ საბრძოლო მოქმედების პირობებში დაჭრილებისათვის დახმარების გაწევის ორგანიზატორიცაა, ანუ სწორედ ის განსაზღვრავს დგომლზე ან ევაკუაციისას სამედიცინო დახმარების მიზანშეწონილობას.

მსირე ისტორიული ექსკურსი

სამხედრო-საველე ქირურგიას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ოფიციალური ჩანაწერებიდან ყველაზე ადრინდელი ძველი ეგვიპტის დროს მიეკუთვნება. მაშინ ბრძოლას ველზე უკვე არსებობდა ჭრილობების შესახვევი პუნქტები. ძველი რომის ლეგიონერებს კი ექიმთა სპეციალური ბრიგადები ემსახურებოდნენ. სენატს გამოყოფილი ჰყავდა შეუთანაღებელი დეპუტატები, რომელთაც ბრძოლის ველიდან დაჭრილების გამოყვანა ევალებოდათ. საქართველოშიც, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობის გამო მუდმივად საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა გახლდათ, მუტად განვითარებული იყო ეს პროფესია. მეფეს ქვეყანაში გაყოფილი იყო სამოქალაქო ექიმები და, ასე ვთქვათ, სამხედრო ქირურგის პროფესიები, თუმც ბრძოლის დროს დაჭრილთა თუ დასახიჩრებულთა დახმარებას არც სამოქალაქო ექიმები უკადრისობდნენ. ფაფანაკი – თავსაბურავს, რომელიც იმერელი მეომრების გამოსაცნობ აქსესუარად იქცა (მისი პირდაპირი დანიშნულება მუზარადის ქვეშ ტარებაა), ჭრილობების შესახვევად და ხისხლის გასაწერებლად ხმარობდნენ. ფაქტის უტყუარობაზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ერთ-ერთი უძველესი ქართული წყარო იმასაც მიწმობს, როგორ იყენებდა ქართველი მხედარი შშვილდის ღარს ღახტად ხისხლდენის შესაჩერებლად.

მომდევნო საუკუნეებში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების პარალელურად სამხედრო-საველე ქირურგიამ კონცენტრირება მოახდინა ცეცხლნასროლი ჭრილობების მკურნალობაზე. 1847 წელს ომის პირობებში პირველად გამოიყენეს ნარკოზი, რამაც ექიმების რიული ქირურგიული ოპერაციების საველე პირობებში ჩატარების საშუალება მისცა.

მე-19 საუკუნის ბოლოს არტილერიის განვითარებასთან ერთად მკვეთრად იმატა ნამსხვრევებით მიღებულმა ჭრილობებმა, რამაც მოითხოვა ქსოვილების გაკვეთისა და დამუშავების ახალი მეთოდების განვითარება. ბირთვული და ქიმიური იარაღის გამოჩენამ კი ექიმების წინაშე ახალი ამოცანები დააყენა, რომელთა გადასაწყვეტად ფართოდ გაიშალა მუშაობა მშვიდობიან პერიოდში.

და ყველაზე მთავარი – სამხედრო-საველე ქირურგიისა და საზოგადოდ, მედიცინის განვითარების დიდად შეუწყო ხელი მეორე მსოფლიო ომმა. გარდა უშუალოდ ბრძოლის დროს მიღებული გამოცდილებისა (ექიმების გამოცდილებას ვგულისხმობთ), გამარჯვებული ქვეყნების ხელში ნადავლის სახით ჩავარდა გერმანელი ნაცისტების მიერ ცოცხალ ადამიანებზე საკონცენტრაციო ბანაკებში ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების უმრავი ჩანაწერი. სწორედ ამის წყალობით მოხერხდა ისეთი ნივთიერებების შესწავლა-გამოყენება, როგორიც იყო: ადრენალინი, ატროპინი, ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალება – ტკივილდამაყუჩებლები, აღმგზნებები და სხვ.

საგულისხმოდ, უნდა ითქვას ისიც, რომ უკანასკნელი 15-17 წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა ვერ მისცა ბიძგი სამხედრო-საველე ქირურგიის განვითარებას. სამწუხაროდ ფაქტია, რომ რაც უფრო ხშირია ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტები, მით უფრო კვალიფიციურია მედპერსონალი. ამის საუკეთესო მაგალითი ისრაელის სახით შეგვიძლია მოგვყავნოთ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ექიმებს უდიდესი პრაქტიკა უჩნდებათ. იმის მიუხედავად, რომ ეს ყველაფერი დიდ უბედურებაზეა დამყარებული, აქედან ერთი პლუსის გამოკვეთა მაინც შეგვიძლია: ის ექიმები, რომლებიც საომარ მოქმედებებს ემსახურებოდნენ, მშვიდობიან დროს ბევრად უფრო ეფექტიანნი არიან სხვადასხვა სახის ტრავმებისა და უბედური შემთხვევების შედეგების მკურნალობისას. მოდი არსებულ ვითარებას დავუბრუნდეთ – მიუხედავად ქართველი სამოქალაქო ექიმების, სასწრაფო დახმარების ბრიგადებისა და უშუალოდ ბრძოლის ველზე სანიტარიული ბრიგადების ბმრული მოქმედებისა, ამ ყველაფერს მაინც არ ჰქონია მეცნიერულად დასაბუთებული საფუძველი. მხედველობაში მაქვს ერთიანი სისტემა, ასე, ვთქვათ სტანდარტიზაცია – პირველი დახმარების გაწევა უშუალოდ ბრძოლაში სანიტრების მიერ (ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად), ბრძოლის ველიდან დაჭრილების გამოყვანის, დაჭრილების სიმძიმის მიხედვით დახარისხების, ევაკუაციის წესების შესრულების – ჯერ ფრონტისპირა ხაზზე, შემდეგ მოძრავ საველე ჰოსპიტალში და ბოლოს, ზურგში, ერთნაირი სამედიცინო დახმარების გაწევის (როგორც წესი, დაჭრილები რამდენიმე ექიმის ხელში ხვდებიან და ამ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჭრილობა სტანდარტულად იქნეს დამუშავებული), ინობილიზაციის და სხვა. საველე სანიტარიული სამსახურის ექიმებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში დაჭრილს შორის სიკვდილიანობას იმიტომ კი არ აქვს ადგილი, რომ ჯარისკაცს სასიკვდილო ჭრილობა აქვს მიღებული, არამედ იმიტომ, რომ დროულად არ იქნა გაწეული

თვითდახმარება და პირველადი თვითდახმარება, არ იქნა შეჩერებული სისხლდენა და ა.შ.

დაჭრილი მებრძოლის მკურნალობისა და აწყობრში დაბრუნების საკითხი დიდად არის დამოკიდებული ერთი შეხედვით მეტად უბრალო საკითხზე, კერძოდ, ჭრილობის სწორად გადახვევაზე. ის კი არა და, თვით ყველაზე რთული ოპერაციის დადებითი გამოსავალიც კი სწორედ ამ საკითხზეა დაფუძნებული.

პირველადი სამედიცინო დახმარება და ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების მკურნალობა

ამ სტატიას არ აქვს იმის პრეტენზია, რომ გამოხატოს ერთი რომელიმე ქირურგიული სკოლის თვალსაზრისი და სულაც არ გვინდა ისიც, რომ უბრალოდ, აკადემიურად ჩამოვთვალოთ არსებული უამრავი სამეცნიერო თეორია, შეხედულება თუ თანამედროვე ქირურგიული მიმართულება. ჩვენ მოკლედ მოვითხრობთ, როგორ უნდა მოხდეს, საყოველთაოდ მიღებული წესების მიხედვით, ცეცხლსასროლი ჭრილობების მკურნალობა და როგორ უნდა გაეწიოს დაჭრილს პირველადი სამედიცინო დახმარება. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მკითხველს ამ სტატიით მიღებული ინფორმაცია საქმეში არ დასჭირდება, თუმცა თუ ერთ ადამიანს მაინც გამოადგება, თავს უბედნიერესად ჩავთვლით...

ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა – ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიითა და ფეთქებადი მოქმედების საბრძოლო მასალით ადამიანის ორგანიზმის ქსოვილებსა და ორგანოებზე მიყენებული მექანიკური ზიანი, რომელიც მათი მოლიანობის დარღვევასა და ჭრილობის წარმოქმნას იწვევს.

– ჭრილობა, რომელიც მიყენებულია ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ხასიათის საბრძოლო მასალის (ნაღმი, ბომბი, ჭურვი და სხვა) ზემოქმედებით.

ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც შედარებით დაბალი სიჩქარით ისვრის ტყვიებს

ამ დროს ტყვიის სიჩქარე არ აღემატება 180-340 მ/წ (პისტოლეტის, შეირაკალიბრიანი შაშხანის ან შორი მანძილიდან გასროლა).

ჩვეულებრივ, დაზიანება შემოფარგლულია ჭრილობის თითქმის სწორი არხით და მას თან სდევს მხოლოდ იმ ქსოვილების, სისხლძარღვებისა და ორგანოების დაზიანება, რომლებშიც გაიარა ტყვიამ, თუმცა, შესაძლებელია მეორადი დაზიანებების წარმოქმნაც. ჭრილობის არხში ტყვიის გავლისას შეიძლება მოხვდეს უცხო სხეულებიც (ღილი ან მისი ნამტვრევი, ტანსაცმლის ქსოვილი). სწორედ ამიტომ ითვლება, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა ყველაზე უსუფთაო ჭრილობაა და კატეგორიულად არის აკრძალული პირველადი ქირურგიული დამუშავების შემდეგ მისი, ასე ვთქვათ, ნაკერებით დახურვა, ჭრილობა ღია უნდა დარჩეს და ასე გაგრძელდეს მისი მკურნალობა.

თუ დაზიანებულია ძვლოვანი ქსოვილი, მაშინ მისმა ნამტვრევებმა შეიძლება გამოიწვიოს მეორადი დაზიანებები.

ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც მაღალი სიჩქარით ისვრის ტყვიებს და ნაღმის ნამსხვრევები

ამ ტიპის იარაღით მიყენებული ჭრილობა ხასიათდება შედარებით პატარა შემავალი და დიდი ზომის გამომავალი ხვრელით. ამ დროს ხდება შინაგანი ორგანოების უმძიმესი დაზიანება, რაც ძალიან ხშირად საკმაოდ არის დაშორებული ტყვიის სავარაუდო ტრაექტორიას.

საფანტით მიყენებული ჭრილობები

ახლო მანძილიდან გასროლის დროს შეინიშნება რბილი ქსოვილებისა და ორგანოების მასობრივი დაზიანება, რომელსაც თან სდევს მნიშვნელოვანი სისხლდენა. დაზიანებული ზედაპირი საკმაოდ დიდი ფართობისაა. ჭრილობის არეში შეინიშნება საკმაო რაოდენობით დაყეული ქსოვილები (კანი, კუნთოვანი ქსოვილი, ძვლის წვრილი ნამტვრევები) და საფანტი. ასეთი სახის ჭრილობებშიც

ძალიან ხშირად, პრაქტიკულად ყოველთვის, შეინიშნება უცხო სხეულები, მაგალითად, ტანსაცმლის ქსოვილი და სხვა. ძალიან ხშირად ხდება ნაჭრილობევიდან მოშორებით მდებარე ორგანოების დაზიანებაც (დარტყმითი ტალღის ეფექტი).

შორი მანძილიდან სროლის დროს შეინიშნება ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის მრავლობითი დაზიანება. თითოეული მათგანი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დამალი სიჩქარით მოძრავი ტყვიით მიყენებული ჭრილობა. მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობები მრავლობითია, როგორც წესი, ასეთი სახის დაზიანება ნაკლებსაშიშია, თუ რა თქმა უნდა, დაზიანებული არ არის მსხვილკალიბრიანი სისხლძარღვი და რომელიმე სასიცოცხლო ორგანო.

დარტყმითი ტალღის ეფექტი და რბილი ქსოვილების კონტუზია (შერყევა)

ტყვიის ან ნამსხვრევის გავლას ადამიანის სხეულის ქსოვილებში თან ახლავს დროებითი პულსირებადი ენერგიაც, რომელიც ჭრილობის არხის ირგვლივ არსებულ ქსოვილებზე მოქმედებს. ეს ენერგია, ანუ დარტყმითი ტალღა, გარდა იმისა, რომ იწვევს ჭრილობის არხის კედლების კონტუზიას და რბილი ქსოვილების ნეკროზს (სიკვდილს), ძლიერ ზემოქმედებს არხიდან საკმაოდ დაშორებულ სხვა ორგანოებზეც. ნეკროზის წარმოქმნა და მისი ხიდრმე, ასევე დაზიანების ხარისხი და გავრცელებულობა პირდაპირპროპორციულია ტყვიის (ან ნამსხვრევის) მასისა და სიჩქარის კვადრატის.

ტყვიის გაჩერების, დეფორმაციის, ტრაექტორიის შეცვლისა და ფრაგმენტაციის (დაშლის) დროს მისი კინეტიკური ენერგიის ძირითადი ნაწილი იხარჯება

დარტყმითი ტალღის წარმოქმნაზე, რომელიც მიმართულია ტყვიის მოძრაობის ტრაექტორიისკენ და მას თან სდევს შინაგანი ორგანოებისა და სისტემების მნიშვნელოვანი დაზიანები.

განსაკუთრებით მძიმე დამაზიანებელი ეფექტი მოსალოდნელია იმ ტყვიებისაგან და ნამსხვრევებისაგან, რომლებიც ორგანიზმში რჩება; ხოლო თუ ტყვიამ გაჭოლი ნახვრეტი გაიკეთა, მაშინ მისი კინეტიკური ენერგია დიდწილად გარეთ იხარჯება და დარტყმითი ტალღის ეფექტიც ნაკლებგამოხატულია.

ყველაზე მძიმე დაზიანება ვითარდება მაშინ, როცა სხეულში მოხვედრილი ტყვია ან ნამსხვრევი ტრიალს იწყებს, ძალიან დეფორმირდება ან ორგანიზმში მოხვედრისას სკდება (ე. წ. ტყვია „დუმ-დუმი“).

თავის არეში დაჭრისას, მაშინაც კი, როცა საჭე გვაქვს ზერელე ჭრილობასთან (შემხები ნატყვიარი), ჩვეულებრივ ვითარდება თავის ტვინის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება (დაწყლული, შერყევით, სისხლჩაქცევით დამოკიდებული).

ფეთქებადი საბრძოლო მასალის ზემოქმედების დროს წარმოიქმნება საკმაო დარტყმითი ტალღა, რომელიც ჩვეულებრივი დარტყმის, სწრაფი აჩქარებით ან დიდი სიჩქარით მოძრავი სხეულის სწრაფად გაჩერებით მიღებული დაზიანებების ანალოგიურ დაზიანებებს იწვევს. გარდა ამისა, აფეთქების დროს წარმოქმნილი ჰაერის წნევის აწევა და ბგერითი რხევები შიდა ყურის დაზიანებასაც იწვევს.

მკურნალობა

ცეცხლსასროლი ჭრილობების მკურნალობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ექიმმა ერთი და იმავე ტაქტიკით უნდა ჩაატაროს. ითვლება, რომ – ეს მართლაც ასეა – ცეცხლსასროლი ჭრილობები ყველაზე ბინძური ჭრილობებია. თუმცა, ექიმმა, კერძოდ, ქირურგმა ამის გამო არ უნდა უგულებელყოს ასეპტიკისა და ანტისეპტიკის კანონები. ეს კანონები მაშინაც კი უნდა იყოს დაცული, როცა საველე ჰოსპიტალი, შესახვევი პუნქტი მიწურშია განლაგებული. ჭრილობები ქირურგიული წესით უნდა დამუშავდეს – გაფართოვდეს ჭრილობის არხი, გაწმინდოს ძვლის ნამსხვრევებისაგან და უცხო სხეულებისაგან, დანეკროზებული ქსოვილები შეიქნებისდაგვარად მოლიანად ამოიკვეთოს. თავად ტყვია (ან ნამსხვრევი), თუ ის არანაირ სიმპტომს არ იძლევა და არ იმყოფება სასიცოცხლო ორგანოების ახლოს, რომელთა დაზიანება შეიძლება მისი გადაადგილებით მოხდეს, შეიძლება არ ამოვიღოთ. ჭრილობა ღია უნდა იყოს და ისე გაგრძელდეს მისი შემდგომი მკურნალობა. თუ, ვთქვათ, მუცლის ღრუზე აღინიშნება შემხები ჭრილობა, ექიმმა დრო არ უნდა დაკარგოს, ლაპარატომია, მუცლის ღრუს გაჭრა და მასში მდებარე ორგანოების დათვალიერება აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან არ არის გამორიცხული, დარტყმითი ტალღის შედეგად რომელიმე შიდა ორგანო იყოს დაზიანებული. აუცილებელია ყველა დაჭრილ მებრძოლს გაუკეთდეს ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი, რომ თავიდან ავიცილოთ მიწით ან სხვა უცხო სხეულებით გამოწვეული უმძიმესი დაავადება – ტეტანუსი.

ზემოთ ჩამოთვლილი მკურნალობის წესების სრულად და ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში შედეგი დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება უშუალოდ პირველად სამედიცინო დახმარებას, მასზე წარმოდგენას მოყვანილი ცხრილი შეგიქმნით.

დევი დევიძე

ყველა დაჭრილი	ჩატარდეს დათვალიერება ნახვევების მოხსნის გარეშე
ყველა დაჭრილი, რომელთაც არასწორად აქვთ დადებული ან ჩამოუცურდათ ნახვევი	ნახვევის მოხსნა და ახალი ნახვევის დადება
ყველა დაჭრილისთვის	წინა რაიონის სპეციალური ბარათის შევსება
ყველა დაჭრილს	უნდა გაუკეთდეს ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი
დაჭრილებს, რომელთაც მეტად დაბინძურებული ჭრილობები აქვთ	კანის ქვეშ განვრენის საწინააღმდეგო შრატის გაკეთება და ჭრილობაზე და მის მიღლ სიღრმეში 10-12 გრამი თეთრი სტრეპტოციდის მოფრქვევა
დაჭრილებს მოტეხილობებით და კიდურების ფართო დაზიანებებით	სატრანსპორტო იმობილიზაციის განწორება და დადება
დაჭრილებს უმძიმესი შოკითა და ანემიით	სისხლის გადასხმა, მორფინის, ქაფურის და სხვა საგულე საშუალებების შეყვანა, დაჭრილის გათბობა, ალკოჰოლური სასმელის მიცემა
ზურგის ტვინის დაზიანებით (დაჭრით) გამოწვეული შარდის შეკავების დროს	შარდის ბუშტის კათეტერიზაცია
ურეთრის დაზიანებით გამოწვეული შარდის შეკავების დროს	შარდის ბუშტის პუნქცია
კიდურებზე დადებული ლახტის შემთხვევაში	ლახტის მოხსნა, მისი დადების აუცილებლობის შემოწმება თავიდან დადების წინ
შეუჩერებელი სისხლდენის შემთხვევაში	სისხლდენის წინასწარი შეჩერება ჭრილობაზე ლახტის ან დამწოლი ნახვევის დადებით
ენის უკან გადავარდნით გამოწვეული ასფიქსიის (მოხრჩობის) დროს	ენის ამოკერვა და მისი ფიქსაცია სატრანსპორტო შინაზე
ყელის ჭრილობების დროს განვითარებული ასფიქსიის შემთხვევაში	ტრაქეოტომია
გულმკერდის ჭრილობების დროს განვითარებული ღია პნევმოთორაქსის შემთხვევაში	ჭრილობაზე სველი საფენის დაფენა გულმკერდის შემდგომი შეხვევით
მომწამვლელი ნივთიერებებით მოწამლული ჭრილობები	ჭრილობის ქიმიური დამუშავება და ჭრილობის ტამპონადა ქლორამინით
სასიცოცხლო ჩვენებით ოპერაციების აუცილებლობისას	სასწრაფო ევაკუაცია დივიზიის სამედიცინო პუნქტში.

ომში პროფესიონალიზმი ჟურნალისტსაც მოეთხოვება

საბრძოლო მოქმედების მცდარად გაშუქებამ მოსახლეობა შეიძლება დააბნიოს ან მათში პანიკაც გამოიწვიოს...

საქართველო-რუსეთის რამდენიმედღიან ომში დაღუპნენ და დაიჭრნენ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ. ამან კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საბრძოლო მოქმედების გაშუქებისას უარიანი ჟურნალისტები შეარღვიენ მებრძოლებზე არანაკლებ (თუ მეტად არა) ხიფათში იყვნენ თავს.

ასეთი დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს ჟურნალისტის მოშზადებას საბრძოლო მოქმედების ზონაში მუშაობისათვის. მას უნდა ჰქონდეს აუცილებელი აღჭურვილობა (ჯავშანლეტები და ბუზარადი, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ხაკისფერი ან კამუფლირებული და ჰქონდეს წარწერა PRESS ან TV).

„ანსენალს" ეს საკრიბრიოტო საკითხი არაერთხელ გაუშუქებია, მაგრამ აგვისტოს ომს ქართული მასმედია ისევ მოუმზადებელი შეხვდა. პირველ დღეებში თითქმის არავის ჰქონდა ჯავშანლეტები, რომ აღარაფერი ვთქვათ ბუზარადებზე (ცნობილი დასალური ტელეკომპანიების ჟურნალისტები და ოპერატორები ყველაფერი ამით უზრუნველყოფილი იყვნენ, „რიიტერის" კორესპონდენტს შეკაზმული ჯიპიც ჰყავდა).

ეს უბრალოესად რედაქციებისა და ტელეკომპანიების ხელმძღვანელთა ბრალია, ისევე როგორც ის, რომ საბრძოლო მოქმედებების ზონაში აგზავნიდნენ ჟურნალისტებს, რომელთაც სამხედრო საქმისა არაფერი გაგებათ...

ამ სტატიის ავტორს არაერთხელ წარმოუჩენია ეს საკითხი თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომ რედაქციებსა და ტელეკომპანიებს სამხედრო თემების გასაშუქებლად საამისოდ მოშზადებული ჟურნალისტები გამოეყოთ. სამოლოდ კი მივიღეთ საეალალი შედეგი. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ტელეკომპანიიდან თუ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან, ისევე როგორც ადრედან, ამსოლუტურად არაკომეტენტური რეპორტაჟები გადაიცემოდა.

„რუსულმა ავიაბომბდამტერებმა ჭურვი ჩამოაგდეთ", – ეს ფრაზა სხვადასხვა ჟურნალისტისგან არაერთხელ გვსმენია იმ დღეებში. ამ ოთხსტატიან წინადადებაში ორი დიდი შეცდომაა. ჯერ ერთი, ავიაბომბდამტერებლის დანიშნულება ჰაერში მოწინააღმდეგის საფრენ აპარატებთან ბრძოლა და ის, როგორც წესი, მიწაზე არაფერს აგდებს. მეორე – ჭურვის ჩამოგდება ტექნიკურად შეუძლებელია. ჭურვს ისეთის ძალა-ენერგია, ხალიბი ძოვრიბის და ბომბდამშენის ინფორმაციაც ყველის ბიბლიის და უმეტეს რაკეტებს.

ეს ელემენტარული სამხედრო ჭეშმარიტებაა, რომლის ცოდნა ჟურნალისტისთვის აუცილებელია.

ომის პირველსავე დღეს ამ სტატიის ავტორის დედა ეთიკეცა და გაბარაზებაც ერთის ფუქტის გამოწვეა – 8 აგვისტოს შუადღისას სოფელ მეღვრეკისის შესახვევთან მდგარს ერთ-ერთს ქართველს ტელევრანმს პირდაპირ ჩართა მაშინ დაიწყო, როდესაც გზაზე ქართული სამხედრო კოლონა გამოჩნდა (ტანკების ჩათვლით), რომელიც ცხინვალისკენ მიმართულიდა. თუ ვინმე უყურებდა ეკრანში ამ სიუჟეტს (არადა ასეთები ნამდვილად იქნებოდნენ), რეალური დროის რეჟიმში მიიღეს ჟიდეოკადრები, თუ რამდენს ს

რუსების ფოთური საქმეები საგმირონი

ფოთის სამხედრო პორტი რუსი ოკუპანტების თავდასხმის დროს. ინვის სარაკეტო კატარღა „თბილისი“

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტს ფეხზე დაყენება და ქვეყნის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლა არა და არ ეღირსა. ფოთის სამხედრო პორტში ქართული მცურავი საშუალებები რუსმა დივერსანტებმა ისე გაანადგურეს, თითქოს რუსეთის ფლოტს სარაკეტო კრეისერებსა და ფრეგატებს დიდი საფრთხე მოელოდა.

ქართულ-რუსული სამხედრო-საზღვაო უზარმაზარი დისბალანსის პირობებში ფოთში განვითარებული მოვლენებისათვის მეტი სიმძაფრის მისაცემად აგრესორებმა ათასნაირი სიცრუე და სიყალბე გამოიგონეს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველომ საბერძნეთიდან სარაკეტო კატარღა „დიოსკურიასთან“ ერთად ფრანგული წარმოების 10 ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა MM38 „ეგოსეტი“ მიიღო.

თურმე საქართველოს სანაპირო არტილერიამ ბომბდურთ ისეთი ძლიერი ცეცხლი გაუხსნა, რომ პატარა სარაკეტო ხომალდი „მირაჟი“ და კორვეტი „მურომეცი“ მწყობრიდან გამოვიდა, ხოლო ეკიპაჟებიდან 8 მეზღვაური დაიღუპა და 10 დაიჭრა. განსაკუთრებით ყურადსაღებია ფოთის ახლოს გამართულ საზღვაო ბრძოლაზე გავრცელებული ინფორმაცია, რომლის დროსაც ერთი ქართული კატარღა ჩაიძირა. ამ სიცრუეს განვითარება უკვე უმაღლეს სახელმწიფო დონეზე მიეცა, ხოლო მოავარი მოქმედი პირის პატარა სარაკეტო ხომალდ „მირაჟის“ მეთაურის, III რანგის კაპიტან ივან დუბიკის „გმირობა“ რუსეთის სახელმწიფო ჯილდოთი აღინიშნა. კრემლში რუსეთის პრეზიდენტ მედვედევისაგან ჯილდოს მიღების დროს დუბიკმა აგრესორთა უმაღლეს მთავარსარდალს ომახიანად მოახსენა, რომ ოპერაციის მსვლელობის დროს ქართული კატარღები რუსულ ხომალდებზე თავდასხმას აპირებდნენ, მაგრამ „მირაჟის“ ეკიპაჟმა სიმშვიდისა და მაღალი ზნეობრივი თვისებების გამოვლენით ქართველების შეტევა ჩაშალა და ერთი კატარღაც ჩაძირა.

ფოთის პორტში ჩამოვარდნილი Точка-У

დუბიკი „გმირის“ როლში იმდენად ღრმად შეიჭრა, რომ გაზეთ „კომსომოლ-

სევასტოპოლი „მირაჟს“ ხვდება

სკაია პრავდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ 10 აგვისტოს შუადღისას რუსულ ხომალდებზე შეტევაში თურმე ქართული 2 სარაკეტო და 3 საპატრულო კატარღა მონაწილეობდა. „მირაჟის“ 60-კაციანი ეკიპაჟი ერთიანი მექანიზმივით მუშაობდა და თავდამსხმელებს ზალპით გაუმასპინძლდა.

რუსები უფრო შორსაც წავიდნენ, – თურმე „მირაჟს“ ორი ხომალდსაწინააღმდეგო „მალაქიტისა“ და ერთი საზენიტო „ოსას“ ტიპის რაკეტა გამოიყენა.

რუსმა დივერსანტებმა ფოთის გემსადგომებთან ქართული კატარღების აფეთქება-ჩაძირვა რუსეთის ფლოტის XXI საუკუნის დიდ საზღვაო ბრძოლად და გამარჯვებად აღიარეს. ქართული ფლოტის უბრძოლველად განადგურება ვერაფერი ვაჟკაცობაა, – ამ საზღვაო ბრძოლამ თავისი „გმირებითა“ და შელამაზებული შტრიხებით აგრესორის საზღვაო ძალებს „დამაშვენებელ-საამაყო“ კიდევ ერთი ეპიზოდი მისცა. III რანგის კაპიტანმა ივან დუბიკმა რუსეთის ფლოტის ისტორიაში თავისი ადგილი დაიკავა და მომავალში მისი გმირობა სხვებისათვის სანიმუშო იქნება.

ქვეყანა, რომლის უმაღლესი მთავარსარდალი ყოველდღე მსოფლიოს მოტყუებას ცდილობს, დუბიკთა და მისი მგავარი სხვა ოფიცრებით უფრო საკუთარ ხალხს ატყუებს. საქართველოს სანაპოროსთან ძმაბე ლაშქრობის შემდეგ 22 აგვისტოს დილით შავი ზღვის ფლოტის მთავარ ბაზაში სევასტოპოლში პატარა სარაკეტო ხომალდი „მირაჟი“ შევიდა. პრორუსული ორიენტაციის სევასტოპოლის მცხოვრებთა მცირერიცხოვანი ჯგუფი სანაპოროსთან მთელი ღამე მორიგეობდა და ხომალდის გამოჩენას „რუსეთი, რუსეთის“ შეძახილებით მიესალმა. ჩანდა პლაკატები წარწერებით: „ჩვენ ვამაყობთ თქვენით!“ და „შავი ზღვის ფლოტი სევასტოპოლში ყოველთვის იქნება!“ „მირაჟის“ გემთსადგომისაკენ ცურვას თან ახლდა ფეიერვერკები.

ერთი მომენტში მომტინეკებს უკრაინის დროშებით მოსული ახალგაზრდები დაუპირისპირდნენ, რაც მუშტი-კრივში გადაიზარდა და გაშველება მილიციის ჩარევით მოხერხდა.

„მშვიდობისათვის იძულების“ ოპერაციაში რუსმა დივერსანტებმა ფოთში საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებიდან აფეთქეს და ჩაძირეს **სარაკეტო კატარღა 303 „დიოსკურია“** – აგებულია საფრანგეთში და 1971 წელს საბერძნეთის ფლოტს გადაეცა. რემინტის შემდეგ, 2004 წლის 22 აპრილს, საბერძნეთმა კატარღა საქართველოს აწუქა.

„დიოსკურია“ ქართულ ფლოტში ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გარეშეა მიღებული და, ფაქტობრივად, საარტილერიო კატარღას წარმოადგენდა.

სარაკეტო კატარღა 302 „თბილისი“ მწყობრში 1981 წელს ჩადგა. შავი ზღვის ფლოტს გაყოფის





რუსი მაროდიორების შემდეგ

შემდეგ უკრაინას დარჩა და 1999 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ იყიდა. კატარღაზე ქართული დროშა 1999 წლის 30 ივნისს აღიმართა. „თბილისი“ ბოლო რამდენიმე წელია

ზღვაში იშვიათად გადიოდა.

საპატრულო კატარღა 101 „წყალტუბო“ შავი ზღვის ფლოტის ყოფილი მეკავშირე კატარღაა. საკარუდდიდ, მწყობრში 1964 წელს ჩადგა და შავი ზღვის ფლოტს გაყოფის შემდეგ უკრაინას დარჩა. 1997 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კერძო უკრაინული ფირმისაგან იყიდა.

დივერსანტებმა არც მშვიდობიანი ჰიდროგრაფიული კატარღები DHK-81 და DHK-82 დაინდეს და გაანადგურეს, ხოლო „Sea Doo“-სა და „შავი ზვიგენის“ ტიპის 15 სადესანტო კატარღა ალაფად წაიღეს.

სანაპირო დაცვის ძალებიდან განადგურებულია: **საპატრულო ხომალდი P-22 „აიეტი“** – ყოფილი გერმანული მტრარლავი ხომალდი, რომელიც მწყობრში 1960 წლის იანვარში ჩადგა. გერმანიის მთავრობამ რემონტის შემდეგ, 1998 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს აჩუქა.

საპატრულო კატარღა P-205 „ორბი“ „გრიფის“ ტიპის კატარღაა. ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში მოდერნიზაციის გავლის შემდეგ, 2007 წელს, სანაპირო დაცვას შეემატა.

საპატრულო კატარღა P-204 ფოთის დივიზიონის კიდევ ერთი „გრიფის“ ტიპის კატარღაა, რომელიც ფოთში რუსებმა ააფეთქეს და ჩაძირეს.

საძასახურებრივი დანიშნულების კატარღა P-01 დაზიანებული შეუთარაღებელი კატარღაა, რომელიც საფრთხეს არავისთვის წარმოადგენდა.

გაუგებარია, ფოთში აგრესორების შემოსვლამდე რატომ არ მოხერხდა იქ დარჩენილი ზოგიერთი მცურავი საშუალების, შეიარაღებისა თუ სხვა ტექნიკის გატანა. არადა, ამისათვის დრო საკმარისი იყო, თუმცა მიზეზი შეიძლება ზოგიერთი კატარღის გაუმართაობაც ყოფილიყო. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ გარემონტებულ-მოდერნიზებულ და წყალში დიდი პომპეზურობით ჩაშვებულ „ორბს“ ტექნიკური ხარვეზები აღმოაჩნდა, რომელიც ექსპლუატაციის დროს გამოვლინდა.

თემურ ჩაჩანიძე

სანაპირო დაცვის
გაძარცვული ქონება

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

NATO-ს ხომალდები

საქართველოს ეხმარებიან

აგვისტოს მოვლენებმა ცხადყო ჩვენი ქვეყნის საზღვაო პორტებისა და საზღვაო კომუნიკაციების დაუცველობა, როცა ფოთის რაიონში რუსი აგრესორები საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის მოშლა-განადგურების მიზნით თავისუფლად მოქმედებდნენ.

„ᲰᲐᲠᲞᲣᲜᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საზღვაო ოპერაციებში რუსებმა შავი ზღვის ფლოტის პრაქტიკულად ყველა ბრძოლისუნარიანი ხომალდი გამოიყენეს: სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“, ფრეგატები „სმეტლივი“ და „პატლივი“, პატარა სარაკეტო ხომალდი „მირაჟი“, კორვეტები – „ᲬᲣᲠᲝᲛᲯᲘ“, „სუზდალეცი“ და „ივანოვეცი“, მტრალავი ხომალდი „ტურბინისტი“, დიდი სადესანტო ხომალდები – „აზოვი“, „იამალი“ და „ცეზარ კუნიკოვი“, მაშველი გემი „ეპრონი“, კოლექტორული გემი КИЛ-25 და სხვა.

იმ მძიმე დღეებში პირველი, ვინც საქართველოსათვის მხარდაჭერა სიტყვითა და საქმით გამოხატა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბუში იყო. მისი განკარგულებით ჰუმანიტარულ ოპერაციაში ამერიკული ავიაცია და სამხედრო ფლოტი ჩაერთო.

თურქეთთან ურთიერთულ მხარეთა მოგვარების შემდეგ 22 აგვისტოს დილით ბოსფორის სრუტე ამერიკულმა სარაკეტო-საესკადრო ნაღმსანმა DDG 74 „მაკ-ფაულმა“ გამოიარა და კურსი საქართველოს სანაპიროსაკენ აიღო.

მაშინ რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ ბოსფორში ამერიკული ხომალდის გავლის დროს სტამბოლის მცხოვრებლებმა გამოფინეს პლაკატები წარწერებით: „იანკი

ᲐᲠᲩᲔᲕᲘ
DALLAS
716
USCGC "

ესპანური ფრეგატი „ალმირანტე ხუან დე ბორბონი“

გოუ ჰიმ“ და „ჩვენ არ მივცემთ ამ ქვეყანას ამერიკელებს“ (ალბათ, იგულისხმებოდა აფხაზეთი). აქციის ორგანიზატორად თურქეთის კომპარტია იქნა დასახელებული.

თურქეთის ხელისუფლება კომუნისტური იდეების საფრთხეს დროზე მიხვდა და კომპარტიის საქმიანობა კარგა ხანია რაც აკრძალა, ამიტომ თავიდან ბოლომდე გამოონილ ამ ცრუინფორმაციას მხოლოდ რუსი კომუნისტები თუ დაიჯერებდნენ.

24 აგვისტოს დილით „მაკ-ფაული“ ბათუმს მოადგა და მისი გაბარიტებიდან გამომდინარე პორტის გარერეიდზე დადგა“ სადაც 53 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი პატარა წყლწყვეთ გეზებსა და კატარლებზე გადმოიტვირთა.

26 აგვისტოს ამერიკულმა ხომალდმა ბათუმი დატოვა და ღია ზღვაში გავიდა. 27 აგვისტოს დილით ბათუმში მორიგი 30 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი ამერიკის სანაპირო დაცვის ხომალდმა WHEC 716 „დალასმა“ შემოიტანა.

მოსალოდნელია საქართველოს წყლებში კიდევ ერთი ამერიკული ხომალდის — მე-6 ფლოტის საშტაბო ხომალდ LCC 20 „მაუნი უიტნის“ გამოჩენა.

ამერიკულ ხომალდებთან ერთად იმავდროულად შავ ზღვაში რუმინეთ-ბულგარეთის წყლებში მიმდინარე სწავლებებში მონაწილეობისათვის შემოსულია NATO-ს სტანდარტული საზღვაო ჯგუფი 1 (SNMG 1), რომელშიც შედის ესპანური სარაკეტო ფრეგატი F 102 „ალმირანტე ხუან დე ბორბონი“, ამერიკული სარაკეტო ფრეგატი FFG 50 „ტილორი“, გერმანული სარაკეტო ფრეგატი F 214 „ლუბეკი“ და ბელგიური სარაკეტო ფრეგატი 272 „ჟენერალ კაზიმე პულასკი“ .

SNMG 1-ის ხომალდების შავ ზღვაში ყოფნა საქართველოსთან პირდაპირ კავშირში არ უნდა განვიხილოთ. თუმცა რუსეთის უკმაყოფილება კი გამოიწვია და პოლიტიკური თუ სამხედრო წრეების უმალესმა წარმომადგენლებმა „ცივი ომის“ წლები გაიხსენეს და დასავლეთის ქვეყნების ხომალდების გამოჩენა სიტუაციის გაწყვეტად ჩაივალეს.

საქართველოსათვის ჰუმანიტარული მისით ამერიკული ხომალდების შემოსვლამ მოსკოვს თავგზა სულ აუბნია და სევასტოპოლიდან აფხაზეთისაკენ სასწრაფოდ იქნა გამოსმობილი „მოსკვა“, „ბრაგი“, „ივანოვეცი“ და სხვა ხომალდები. სოხუმის რეიდზე კრეისერი „მოსკვა“ თავად ბალადაშმა მოინახულა, რითაც რუს მეზღვაურებს დიდი პატივი მიაგო და აფხაზეთის დაცვის სამედიცინოში დარწმუნდა.

სუვერენული საქართველოს წყლებში რუსულ ხომალდებს არაფერი ესაქმებათ, მაგრამ საერთაშორისო ანდაზრის როლში შესული მოსკოვი ამერიკიდან მიღებულ ჰუმანიტარულ დახმარებასაც კი ეჭვით უყურებს და ყველგან და ყველაფერში არაღი ეჭვნება.

NATO-სა და რუსეთის ხომალდების უშუალო დაპირისპირებამდე საქმე არ მივა, მაგრამ ძალის დემონსტრირებისა და ნერვებზე თამაში კი ნამდვილად მიმდინარეობს.

ამერიკული სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსანი „მაკ-ფაული“ უნივერსალური ხომალდია, რომლის დანიშნულებას წარმადგენს საჰაერო თავდასხმებისაგან წყალზედა ხომალდებისა და პირველ რიგში საავიაშოდი შემტვი ჯგუფების ზონალური დაცვა, ბრძოლა წყალქვეშა ნავებსა და წყალზედა ხომალდებთან, სადესანტო ოპერაციების საარტილერიო მხარდაჭერა, მოწინააღმდეგის ხომალდების თვალთვალი, მსოფლიო

ამერიკის მე-6 ფლოტის საფლაგმანო ხომალდი „მაუნთ უიტნი“

USS Mount Whitney (LCC 20)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანაპირო დაცვის ხომალდი „დალასი“

ოკეანის ამა თუ იმ რაიონში საზღვაო ბლოკადის უზრუნველყოფა, სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა, სატრანსპორტო ვერტლების გაცილება და სხვა.

„მაკ-ფაული“ ყველაზე მრავალრიცხოვანი სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსნების „ერლი ბეირკის“ სერიას მიეკუთვნება. სერიის პირველი ხომალდის „ერლი ბეირკის“ მშენებლობა 1988 წლის 6 დეკემბერს დაიწყო და ფლოტის შემადგენლობაში 1991 წლის 7 ივლისს შევიდა.

სერია სულ 62 ხომალდს აერთიანებს, საიდანაც 52 მწყობრში და აქტიურ საზღვაო სამსახურშია, ხოლო დანარჩენი 10 კი მშენებლობის ან შეკეთების გაცემის პროცესშია.

მიმდინარე წლის 9 აგვისტოს ამერიკის ფლოტს სერიის მორიგი საესკადრო ნაღმოსანი DDG 104 „სთირითი“ გადაეცა. თითოეული ხომალდის აგება-დასრულებისათვის დაახლოებით 2 წელია საჭირო.

ცოტა ხნის წინ ცნობილი შეიქნა, რომ სერიის ბოლო ხომალდის DDG 112-ის ასაგებად „ეკონერალ დინამიქსის“ ვერფ „პეტ აირონ ვორქს“ 562 მილიონი დოლარი გამოეყო.

„ერლი ბეირკის“ სერია რამდენიმე მოდიფიკაციის ხომალდებს აერთიანებს და „მაკ-ფაული“ II მოდიფიკაციას ეკუთვნის. ის მწყობრში 1998 წლის 25 აპრილს შევიდა და ნორფოლკის სამხედრო-საზღვაო ბაზაზეა მიწერილი.

154 მეტრი სიგრძის ხომალდის წყალწყვა 9033 ტონას აღწევს. ხომალდის საბაზო ელემენტია დამიზნებისა და სარაკეტო ცეცხლის მართვის უნივერსალური სისტემა Aegis-ი, რადიოლოკაციური სადგური AN/SPY-1D ფაზირებული ანტენების ცხაურებითა და რაკეტების ვერტიკალური სტარტის დანადგარი Mk 41.

რაკეტების გამშვებ დანადგარს Mk 41-ს 90 კონტეინერი-უჯრედი აქვს, სადაც მოთავსებულია სხვადასხვა რაოდენობით საზენიტო რაკეტები „სტანდარტ“ SM-2, ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტები „ტომაჰაკი“ და წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ASROK-ის ტიპის რაკეტები.

გარდა ამისა, ხომალდის შეიარაღებაში შედის: 4X2 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „პარპუნი“, ერთი 127მმ-იანი ქვეშეხი, ორი 25მმ-იანი ავტომატი, ოთხი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, ორი 20მმ-იანი ავტომატი „ვულკან ფალანქსი“, 324მმ-იანი 2X3 სატორპედო აპარატი და ერთი შვეულმფრენი SH-60 „სი ჰოუკი“.

ეკიპაჟი 27 ოფიცერს“ 315 უმცროს მეთაურსა და მატროს ითვლის.

ძალოვანი აფრგეატი საერთო სიმძლავრით 100 ათასი ცხენის ძალის 4 აირტურბინს აერთიანებს. ცურვის სიშორე ეკონომიური

ბათუმში „მაკ ფაულიდან ჰუმანიტარული ტვირთის გადმოტვირთვა

ამერიკული ფრეგატი „ტეილორი“

DALLAS" (WHEC 716)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა „ტომაჰაკის“ (BGM-109C) წონა 1452 კილოგრამია და 1430 კმ-ზე დაფრინავს. ჩვეულებრივი საბრძოლო ნაწილი 454 კილოგრამს იწონის.

ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა □-500 „ბაზალტი“ 4800 კილოგრამს იწონის და 550 კმ-ზე დაფრინავს. ჩვეულებრივი საბრძოლო ნაწილი 1000 კილოგრამი, ბირთვული კი — 350 კილოგრამია.

ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა „სუბ ჰარპუნის“ (UGM-84E) წონა 765 კილოგრამია და 150 კმ-ზე დაფრინავს. საბრძოლო ნაწილი 225 კილოგრამს იწონის.



„ტომაჰაკების“ სტარტი

SS MCFAUL (DDG 74)

„მაუნთ უოტნიზე“
სპეცრაზმის დესანტირება

18 კვანძით 6 ათას მეტს აღწევს, ხოლო სიჩქარე 32 კვანძს შეადგენს.

ხომალდების ენერგეტიკული დანადგარი აღჭურვილია სითბოს უტილიზაციის კონტეინერით, რაც საწვავის 25% ეკონომიას იძლევა. გუშაგებისეულია მსროლითი განადგურების იარაღისაგან თავდაცვის სისტემა. აქვს ტორპედოების ასარდებელი მოწყობილობა და საარტილერიო ცეცხლის მართვასთან საჭირო ლაზერული მანძილზომი.

კორაუსი ფოლადის ფურცლებისაგან არის შეკრული და ისეთი ფორმა აქვს, რომელიც უკეთეს საზღვაოსნო თვისებებს იძლევა და 9-ბალიან ღელვაშიც კი ხომალდი 30 კვანძს ინარჩუნებს.

კორაუსის ზედაშენი ძირითადი სიბრტყისაკენ დახრილია და რადიოტალღების შთანთქმელი საფრთი არის მოპირკეთებული, რითაც რადიოლოკაციური შემჩნევადობა მცირდება.

თბური ველის შესამცირებლად საკვამლე მილებზე სპეციალური კამრებია დაყენებული, სადაც გამონაბოლქვი აირები ცივ ჰაერს შეერევა.

სასიცოცხლო საბრძოლო პოსტები ხომალდის კორპუსის შიგნით არის მოთავსებული, ხოლო ცალკეული მექანიზმები და მოწყობილობები ალუმინ-მაგნიუმის შენადნობის 25,4მმ-იანი ფილებით არის დაცული.

საჰაერო და წყალზედა მდგომარეობაზე დაკვირვებისათვის სერიის ხომალდები აღჭურვილია AN/SPY-1D-ის ტიპის მრავალფუნქციური რადიოლოკაციური სადგურითა და ოთხი ფაზისეული ანტენის ცხაურებით, რომლებიც ზედაშენის გარე ზედაპირებზეა მოთავსებული. ამგვარი სისტემა საჰაერო სამიზნის 400 კმ-ზე აღმოჩენის საშუალებას იძლევა. მიღებული ინფორმაცია მთავარ საბრძოლო პოსტს გადაეცემა, იქ აისახება და ხომალდის მეთაურს გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი რეკომენდაციები მიეცემა.

ინფორმაცია მიდის საზენიტო კომპლექსების მართვის ცენტრშიც, რომელსაც 3 რადიოლოკაციური სადგური აქვს და სამიზნეებისაკენ ერთდროულად 18 საზენიტო რაკეტის გაშვება შეუძლია.

გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევრიდან „ერლი ბაირკის“ სერიის სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსანი შეერთებული შტატების ყველა საზღვაო კამპანიაში მონაწილეობდნენ, სადაც საპერი და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან ერთად სახმელეთო სამიზნეებზე დარტყმის შესრულებას უზრუნველყოფდნენ.

კონფლიქტებში მონაწილეობა ერთი სერიაზული ინციდენტით აღინიშნა, რომელსაც ადგილი 2000 წლის 12 ოქტომბერს ომენის პორტ ადენში ჰქონდა.

„ერლი ბაირკის“ სერიის რიგით მე-17 ხომალდს DDG 67 „კოულს“ კამიკაძე-ტერორისტები რეზინის ნავით დაეცხინენ და აფეთქეს, რასაც 4 მეზღვაური ეწსნერპალა, ერთი უკვალოდ დაიკარგა და 30 დაიჭრა. ხომალდის კორპუსში 12 მეტრის ღრიჭო ვაჩნდა, მაგრამ ეკიპაჟმა წყლის შეჭრება მოახერხა და ხომალდი დალუპვას გადაურჩა.

ამერიკელმა სპეციალისტებმა „ერლი ბაირკის“ სერიის ხომალდებში საზღვაოსნო თვისებების“ არქიტექტურისა და შეიარაღების ოპტიმალური შეხამება მოახერხეს და სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსნების კლასში საუკეთესო ხომალდები შექმნეს.

1967-72 წლებში შეერთებული შტატების სანაპირო დაცვა „ჰამილტონის“ სერიის 12 ხომალდით შეივსო და რიგით მეორე „დალასი“ მწყობრში 1967 წლის 1-ელ ოქტომბერს ჩადგა.

1988-92 წლებში სერიის თორმეტივე ხომალდმა მოდერნიზაცია გაიარა და თანამედროვე რადიოელექტრონული საშუალებებითა და შეიარაღებით აღიჭურვა.

მოდერნიზებული „დალასი“ თავისი მოკალეობის შესრულებას 1989 წლის დეკემბერში შეუდგა.

ხომალდის წყალწყვა 3050 ტონა და სიგრძე 115,4 მეტრია. აღჭურვილია ერთი 76მმ-იანი ქვემეხით, ერთი 20მმ-იანი „ვულკან ფალანქსის ავტომატით, ორი 25მმ-იანი ავტომატით, ოთხი 12,7მმ-იანი ტყვიამფრქვევითა და ერთი HH-65 „დოლფინის“ ტიპის მფეთქველფრენით.

ძალოვანი აგრეგატი ორ აირტურბინსა და ამდენივე დიზელის ძრავას აერთიანებს საერთო 36 ათასი ცხენის ძალით. მაქსიმალური სიჩქარე 29 კვანძს აღწევს.

ამჟამად ბუენოსაიერესის პორტ ვარნაში მყოფ NATO-ს ქვეყნების SNMG 1-ის საფლაგმანი ხომალდი ესპანური სარაკეტო ფრეგატი „ალმირანტე ბუან დე ბორბონია“.

ესპანური ფრეგატი ბოლო თაობის ხომალდებს მიეკუთვნება და მწყობრში 2003 წლის ნოემბერში შევიდა. 5761 ტონა წყალწყვეთის ხომალდი 8 „ჰარუნის" ტიპის რაკეტით არის აღჭურვილი.

ვერძანული სარაკეტო ფრეგატი „ლიუბეკი" 1990 წლის მარტიდან დაცურავს. 3800 ტონა წყალწყვეთის ხომალდს 8 „ჰარუნის" ტიპის რაკეტა აქვს.

ამერიკული „ოლიფერ ჰ. პერის" სერიის ფრეგატი „ტეხ
ორი" ფლოტის განკარგულებაში 1984 წლის დეკემბრიდან იმყოფება. ხომალდის მთავარ შეიტევ ძალას 4 „ჰარუნი" წარმოადგენს.

სარაკეტო ფრეგატი „ეაერერალ კაზიეკ პულასკი" ასევე „ოლიფერ ჰ. პერის" სერიას მიეკუთვნება და პოლონეთის შეიარაღებაში 2000 წლის 15 მარტს მიიღო. ხომალდს 4 „ჰარუნის" ტიპის რაკეტა აქვს.

შავი ზღვის ფლოტის კეკლაზე ძლიერ ხომალდად ფლაგმანი – სარაკეტო კრეისერი „მოსკვა" რჩება.

„მოსკვა" (ყოფილი „სლავა") ცხრა წელიწადზე მეტხანს შენდებოდა და ფლოტს 1982 წლის 30 დეკემბრის მიიღო.

1990 წელს ნიკოლაევის ერთ-ერთ ქარხანაში გეგმური რემონტის ჩასატარებლად დადგა, რომელიც კიევ ცხრა წელზე მეტხანს გაგრძელდა და კრეისერი სპრძოლო სამსახურს შავ ზღვაში 2000 წლის აპრილიდან შეუდგა.

„მოსკვის" სრული წყალწყვეთა 11280 ტონა და სიგრძე 186 მეტრია. ორი ორტურბინის დანადგარი საერთო 110 ათას ცხენის ძალას უზრუნველყოფს და ხომალდს მაქსიმალურ 32,5 კვანძს ანიჭებს.

კრეისერის მთავარი შეიტევი საშუალება 16 ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი „პაზალტის" ტიპის რაკეტაა. რაკეტებით ზღვრულ 550 კილომეტრზე სროლისათვის აუცილებელი ინფორმაცია თანამგზავრიდან, თვითმფრინავიდან ან სახმალდოდ შეკულმფრენიდან მიიღება.

„მოსკვაზე" გამოყენებულია ზონალური საჰაერო თავდაცვის სისტემა С-300Ф „რიფი". კიროს ნაწილში განთავსებულია რვა ვერტიკალური სტარტის დანადგარი, რომელსაც საზენიტო რაკეტები „რეკოლერისმაგვარი" მექანიზმით მიეწოდება. თითოეული „რეკოლერის" დოლში 8 რაკეტა თავსდება, ანუ კრეისერს მორეული მოჭედების ხელ 64 საზენიტო რაკეტა აქვს.

რაკეტების მართვის მრავალარხიანი რადიოლოკაციური სადგური უზრუნველყოფს, რომლითაც საჰაერო სამიზნეების 400 კმ-ზე და წყალზედა სამიზნეების 40 კმ-ზე მოძებნა შეიძლება.

„რიფის" სისტემაში შემავალი საზენიტო რაკეტის ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 90 კილომეტრია და ერთდროულად 6 სამიზნის თანმლება შეიძლება. ახლო მანძილებზე საჰაერო თავდაცვისათვის Оса-МА საზენიტო-სარაკეტო სისტემის ორი შეკულეუნლი კომპლექსი გამოყენებული, რომლის მოჭედების რადიუსი სიმაღლეზე 1,6-დან 10 კმ-ს და სიმაღლეში 25 მეტრიდან 6 კილომეტრს შეადგენს. რაკეტების მარაგი 48 ერთეულია და ერთდროულად 8-10 საჰაერო სამიზნის თანმლა არის შესაძლებელი.

კრეისერს საარტილერიო შეიარაღებიდან ორი 130 მმ-ანი ქვემეხი, 30 მმ-ანი 6X6 ავტომატი, 533 მმ-ანი 2X5 სატორპედო ამარაი და 2X12 რეაქტიული ბომბსატყორცნი РБУ-6000 აქვს. ზღვაზე დაზვერვისათვის გამოიყენება Ка-27 ტიპის შეკულმფრენი. ეკიპაჟი 485 კაცს და მათ შორის 66 ოფიცერს თვლის.

ფეხაზეთის წყლებში „მოსკვას" გეგრდზე უფლას 3305 ტონა წყალწყვეთს 1135М პროექტის ფრეგატი „პიტლივი".

ფრეგატი მწყობრში 1981 წლის 30 ნოემბერს ჩაფა და მისი დანიშნულება „ცივი ომის" დროს ამერიკელ წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა იყო, ამიტომ შეიარაღებაში მთავარი ადგილი შესაბამისმა სისტემებმა დაიკავა. „პიტლივის" რამდენიმე მოფარნიზაცია ჩაუტარდა და ხომალდის აღჭურვილობაში წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო სისტემები კვლავინდებურად მთავარი ადგილი უკავია.

გარდა ამისა, ფრეგატს ორი 100მმ-იანი ქვემეხი, შეუწყვეტელი ორი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Оса-МА2 და 533მმ-იანი 2X4 სატორპედო ამარაი აქვს.

ამარა სარაკეტო ხომალდი „მირაჟი" 12341-ე პროექტის არის აგებული და ექვსი საკმად მოძველებული П-120 ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტით არის აღჭურვილი.

თანამედროვე საზღვაო ომში უპირატესობას ფლობს ის, ვინც მოწინააღმდეგეს უფრო ადრე შეამჩნევს, აქვს თავდაცვა-თავდასხმის უფრო თანამედროვე და ეფექტიანი საშუალებები.

ზედაპირული შედარებითაც კი თვალნათლივ ჩანს, რომ დასავლეთის ქვეყნების ხომალდები განსაკუთრებით ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით ბევრად უფრო ძლიერად არიან აღჭურვილი, რომ არაფერი ვთქვათ რადიოელექტრონული დაზვერვისა და საჰაერო თავდაცვის სისტემებზე.

თემურ ჩაჩანიძე

შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი კრეისერი „მოსკვა"

ამარა სარაკეტო ხომალდი „მირაჟი"

ფრეგატი „პიტლივი"

ჩამოგდებული რუსული Cy-24M-ის ამ ფოტოზე ნათლად ჩანს ამ თვითმფრინავის ჰაერმიმღები და ერთი აუფეთქებელი ბომბი

ავღპვ რუსეთი ავიაციის შესახებ

როგორც არაერთხელ მოძხდარა, ჩვენმა დიდმა მეზობელმა კონფლიქტში მონაწილეობის ცდუნებისგან ამჯერადაც ვერ შეიკავა თავი და ე.წ. „მშვიდობისმყოფელების“ დაცვის მიზნით 8 აგვისტოს დილას როკის გვირაბიდან თითქმის სრული შემადგენლობით 58-ე არმიის დანაყოფების შემოყვანა დაიწყო. დიდხანს უსაქმოდ ყოფნამ არც რუსულ სამხედრო ავიაციას მოუწია.

იმავე დილას რუსეთის პრემიერ-მინისტრმა პუტინმა განაცხადა, რომ საქართველოს ამ ქმედებას უპასუხოდ არ დატოვებდა და სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საფრონტო ბომბდამშენი Cy-24M საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოიჭრა და ქარელში პოლიციის შენობასთან ორი ბომბი ჩამოაგდო. იმ დღიდან დაიწყო საქართველოს ტერიტორიის ინტენსიური, მასობრივი დაბომბვა.

8 აგვისტოს 10სთ-ს და 57წთ-ზე გორის თავზე ეფსი რუსული თვითმფრინავი გამოჩნდა, რომელთაგან ორმა ქალაქზე იერიში მიიტანა. მიზნად გორში დისლოცირებული საარტილერიო ბრიგადის ნაწილის განადგურება ჰქონდათ. მიზანს მხოლოდ ერთი ბომბი მოხვდა, ორიდან ერთი გორიკვერის დაღმართზე, მეორე კი სტადიონთან ჩამოვარდა. შემდგომი ხუთი დღის განმავლობაში რუსულმა Cy-24M-ებმა და Cy-25-ებმა გორი ყველაზე ინტენსიურად დაბომბეს. ბომბები და რაკეტები უმეტესად მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებს ხვდებოდა. იმავე დღის 3სთ-ზე რუსული სამხედრო თვითმფრინავები საქართველოს საჰაერო სივრცეში გორის სამხრეთით მდებარე თემამის მხრიდან შემოვიდნენ და გეზი ვაზიანის სამხედრო აეროდრომისკენ აიღეს, სადაც რეზერვისტები და მათი მშობლები იყვნენ შეკრებილი. აეროდრომზე ორი ბომბი ჩამოაგდეს. სამედნიეროდ, ეს

ეს Cy-24M სოფელ ძევერაში ჩამოვარდა, თუმცა ალბათ მის ფრაგმენტებს ველარ ვიხილავთ — რუსები გაზიდავდნენ...

მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიები პირდაპირ ეთერში აჩვენებდნენ, თუ როგორ მიაქონდა სარაკეტო იერში რუსულ Cy-25-ს გორზე

დღეისთვის რუსეთის შეიარაღებაში 200-მდე Cy-25-ია

ერთ-ერთი რუსული Cy-25, რომელიც ბაზაზე ქართული საზენიტო რაკეტისგან მიღებული დაზიანებით დაბრუნდა

უმსხვერპლოდ დასრულდა.

საათ-ნახევრის შემდეგ რუსული საფრინტო ბომბდამშენების სამხმენელ თბილისიდან სამხრეთით 20-30 კმ-ის მოშორებით მდებარე სამხედრო-საჰაერო ძალების მარნეულის მოავარი ბაზა და ბოლნისის აეროდრომი გახდა. შემდგომი ერთი საათის განმავლობაში მარნეულის სამხედრო აეროდრომი ეკვე ორჯერ დაბომბა და განადგურდა სამი Ан-2-ის ტიპის ოვითმფრინავი. ამ დარტყმებს უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია – რუსულ ბომბებს 4 კაცის სიცოცხლე შეეწირა, საიდანაც ერთი Ан-2-ის პილოტი, ორი კი ტექნიკოსი იყო.

შემდგომ მარნეულის აეროდრომი კიდევ რამდენიმეჯერ დაიბომბა. რუსული Cy-24M-ები იმდენად დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდნენ, რომ აეროდრომზე მყოფი პირები ხედავდნენ ბომბარდირების პროცესს. განადგურდა და დაზიანდა შენობა-ნაგებობები, ოვითმფრინავის სადგომები, ანგარები, სამანვერო ბილიკები, ნაწილობრივ ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, აეროდრომის ტექნიკური აღჭურვილობა. ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად, პირველივე საჰაერო იერიშის შემდეგ, აეროდრომზე მყოფი პირადი შემადგენლობა ევაკუირებულ იქნა.

კონფლიქტის ზონაში რუსული ავიაცია ისევ აქტიურობდა. 8 აგვისტოს ღილას ერგნეთთან ცხინვალის მიმართულებით მიმავალ მე-2 ქვეითი ბრიგადის „ლენდროვერების" კოლონის თავზე ორი რუსული Cy-25 გამოჩნდა. მათ დაუცველ „ლენდროვერებს" მცირე სიმაღლიდან ცეცხლი სამორტა ქვემეზებით გაუხსნეს. წამების შემდეგ კი უმართავი საავიაციო რაკეტები დაუშინეს. კოლონა, რომლის მანქანებშიც მხოლოდ მძღოლები ისხდნენ, რუსული მოერიშეების მეორე წრეზე შემობრუნებას ალარ დაელოდა და გზის ორივე მხარეს მდგარ ხეებს შეაფარა თავი. ალბალ მხოლოდ ერთი „ლენდროვერი" დარჩა, რომლის გარშემო ავეიეტიუმმა უმართავმა რაკეტებმა სამი ღრმული დატოვეს. მანქანაში მხოლოდ სამი კაცი დაიჭრა და ისიც მსუბუქად.

კონფლიქტური ზონის გარდა. 8 აგვისტოს რუსებმა ცხრაჯერ დაბომბეს. საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტი. ქართული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები კი არსად ჩანდნენ. მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიები პირდაპირ ეთერში აჩვენებდნენ იმავე დღის საღამოს, როგორ მიაქონდათ საჰაერო იერიშზე რუსულ Cy-25-ებს გორის საარტილერიო ბრიგადის ბაზაზე – დამრეც პიკირებაში გადასული მოერიშე სამიზნეს უმართავ საავიაციო რაკეტებს უშენდა. შემდეგ საბრძოლო პოზიციიდან გამოდიოდა და ზენიტსაწინააღმდეგო მანევრს იწყებდა. პარალელურად კი ქართული სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტების მოსატყუებლად გარკვეული ინტერვალით 3-4 სითბურ ხაფანგს ყრიდა. მაგრამ მაშინ ქართული საზენიტო საშუალებები არ გამოჩენილან.

კონფლიქტში ჩარევის პირველივე დღეს რუსულმა ავიაციამ, პრაქტიკულად, საქართველოს ცაში სრული უპირატესობა მოიპოვა. გამანადგურებლების უქონლობის გამო ქართული სამხედრო-საჰაერო ძალები უძლურნი აღმოჩნდნენ. არადა საქართველოს რამდენიმეჯერ ჰქონდა МиГ-29 ტიპის გამანადგურებლის შემძენის შესაძლებლობა. 2005 წელს უზბეკეთი ხუთ МиГ-29-ს გვთავაზობდა, თითოს 3.2 მილიონ დოლარად, მაგრამ შეთანხმება არ შედგა. Р-60 და Р-73 ტიპის ახლო ბრძოლისთვის განკუთვნილი „ჰაერი-ჰაერი" კლასის რაკეტებით შეიარაღებული ქართული Cy-25-ები საჰაერო სამიზნეების წინააღმდეგ უძლურნი აღმოჩნდნენ. ქართული მოერიშეების მოსავერებლად ეწ. სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცეს რუსული Cy-27-ები სრულად აკონტროლებდნენ. ამიტომ 8 აგვისტოს შემდეგ ქართულ მოერიშეებს საბრძოლო ფრენები ალარ შეესრულებიათ.

9 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ საჰაერო დარტყმა დასავლეთ საქართველოსაც მიაყენა.

00სთ-სა და 12წთ-ზე დაიბომბა ფოთის პორტი, რის გამოც ჩაიძირა ჰიდროგრაფიული ხომალდი. ხუთი წუთის შემდეგ კი ბომბდამშენების მეორე ჯგუფმა იერიში სენაკის სამხედრო ბაზაზე მიიტანა. უკეთესი ორიენტირებისთვის Cy-24M-ებს გზა Cy-25-მა მანათობელი ბომბებით გაუნათეს. დარტყმის შედეგად დაიღუპნენ ერთი

დღეისთვის Ty-22M3 რუსეთის შორი ავიაციის ძირითადი თვითმფრინავია, ოღონდ უკვე ერთით ნაკლები ჰყავთ...

250კგ-იანი ბომბები Ty-22M3-ის პილონზე

სამხედრო და ხუთი რეზერვისტი. მეორე წრეზე კი რუსულმა ავიაციამ ქალაქის სარკინიგზო სადგური დაბომბა, რომლის დროსაც რვა მშვიდობიანი მოსახლე დაღუპა. ღამით კიდევ ერთხელ დაბომბეს ფოთის პორტი. დილის 10სთ-ზე პირველი დარტყმა კოპიტნარის სამხედრო აეროდრომსაც მიიღო. ნახევარი საათის შემდეგ კი ქართველი მოსახლეობა პირდაპირ ეფირში უყურებდა, როგორ აგდებდა ოთხ 500კგ-იან ფუგასურ ბომბს რუსული Su-25 გორის საარტილერიო ბრიგადის ტერიტორიაზე. ერთი ბომბი სამიზნეს ასცდა და იქვე საცხოვრებელ კორპუსებს შორის ჩამოვარდა, რასაც ნგრევა, ხანძარი და მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა მოჰყვა. ძლიერ დაბომბა ე.წ. ბამბუელის დასახლებაც.

საგამანადგურებლო ავიაციის უქონლობის გამო ქართული არმია საზენიტო არტილერიისა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების იმედად დარჩა. ქართველმა მეზენიტეებმა გმირობის მაგალითი აჩვენეს. 9 ავგისტოს ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა ორი რუსული თვითმფრინავის ტოს რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ანატოლი ნოგოვიცინმა პირდაპირ ეფირში განაცხადა, რომ მარილაც დაიკარგა რუსული თვითმფრინავი.

ორიოდ სიტყვა ბომბდამშენ Ty-22M-ზე: Ty-22M-ის შესაქმნელად მუშაობა ტუპოლევის საკონსტრუქტორო ბიუროში 60-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. ის ფრთოსანი რაკეტა X-22-ის მატარებელი უნდა ყოფილიყო. 121000კგ-იანი მაქსიმალური ასაფრენი მასით მისი ფრენის მანძილი 4140კმ-ს შეადგენდა. ჩანაფიქრის თანახმად, ის ევროპის ბრძოლის ველებზე უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ რადგან წყენებულ მოთხოვნებს ვერ პასუხობდა, 1972 წლამდე მხოლოდ 9 მანქანა აშენდა. ხუთი



Ty-22M3-ის ძრავა НК-25 სიგრძეში Su-24-ისას აღემატება

ჩამოგდების შესახებ ოფიციალური განცხადება გაკეთეს. ორიდან ერთი საფრონტო ბომბდამშენი Su-24M, მეორე კი შორი მოქმედების ბომბდამშენი Ty-22M იყო. როგორც გვაცნობეს, ტყვედ აიყვანეს რამდენიმე რუსი პილოტი და ერთის გვამი იპოვეს. მალე საავადმყოფოში მიყვანილი ორი დაშავებული პილოტი აჩვენეს. ერთ-ერთის თქმით, ის გორსა და ცხინვალს შორის აეროფოტოგადაღებისას ორი საზენიტო რაკეტით ჩამოაგდეს. ოფიციალურმა მოსკოვმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო და მხოლოდ 16 აგვის-

რუსების მტკიცებით, Ty-22 ხაზენიტო-სარაკეტო კომპლექს С-200-ით ჩამოუგდეს, რომელიც ვითომდა უკრაინამ მოგვაწოდა...

შაიკოვკის აეროდრომი, სადაც 52-ე მძიმე ბომბდამშენი ავიაპოლკი ბაზირდება

მთგანი რიაზანის საბრძოლო მოქმედებისა და შორი ავიაციის გამოყენების ცენტრში ეკიპაჟებისა და ტექნიკური პერსონალის ახალ ტექნიკაზე გადასამზადებლად გამოიყენებოდა. ითხს კი საკონსტრუქტორო ბიურო იყენებდა. დღეისთვის დარჩენილია მხოლოდ ერთი Ty-22M და ისიც როგორც ექსპონატი მონინოს საავიაციო მუზეუმში დგას.

ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს მოდერნიზებული Ty-22M2 ყოფილიყო, რადგან ეს თვითმფრინავები კარგა ხანია მოხსნილია რუსეთის შორი ავიაციის შეიარაღებიდან (შესაძლოა, რამდენიმე მანქანა საზღვაო ავიაციას ჰყავდეს).

ჩვენი ვარაუდით, ჩამოგდებისას პოლკოვნიკი ზინოვი Ty-22M3-ით მიფრინავდა. ეს ბომბდამშენი Ty-22M2-ის მოდერნიზებული ვარიანტია. მისი შექმნა 1974 წელს დაწყო. Ty-22M ოჯახის თვითმფრინავების დამახასიათებელ ნიშნს დაბლა განლაგებული ცვალებადი ისრისებური რობის ფრთას წარმოადგენს. ის შეიარაღებაში 1989 წელს მიიღეს და მალე ევროპის რისხვად იქცა. თავისი არც ისე პატარა ზომისა (სიგრძე – 42.16 მ, ფრთის მაქსიმალური გაქანი – 34.28 მ) და მასის (ცარიელს წონა 78.000, მაქსიმალური ასაფრენი – 126.000კგ) მიუხედავად, დიდ სიმაღლეზე 2300კმ/სთ სიჩქარის განვითარება და 13.000მ სიმაღლეზე ფრენა შეუძლია.

Ty-22M3-ის სარაკეტო არსენალი საკმაოდ შთამბეჭდავია. მას შეუძლია წაიღოს სამი ფრთოსანი ტაქტიკური რაკეტა X-22, რომელზეც როგორც ფეუასური, ასევე ბირთვული ჭურვის დაყენება შეიძლება. რაკეტის სასტარტო მასა 5900კგ-ს შეადგენს (900კგ საბრძოლო ჭურვზე მოდის), გაშვების მაქსიმალური მანძილი – 500კმ-ს, ხოლო ფრენის სიჩქარე M=3-ს აღწევს. გარდა ამისა, მას შეუძლია ათი X-15 ტიპის ჰიპერბგერითი (M>5) აერობალისტიკური რა-

250კგ-იანი ფუგასური ბომბები Cy-24-ის პილონებზე



რუსები ბომბებზე გაკეთებული ასეთი წარწერებით ცდილობდნენ ქართველების დაშინებას. ბეტონსაწინააღმდეგო БЕТАБ-500

კეტის წალება. რაც შეეხება ბომბურ შეიარაღებას, 24000კგ-იანი სპრძოლო დატვირთვასს Ty-22M3-ს რვა 1500კგ-იანი და 70 ერთეული 250კგ-იანი ბომბები შეუძლია წაიღოს, რაც ფიზიკური პირობაა „ხალიჩისებური ბომბარდირებისას".

საჰაერო კაკბირი ამ თვითმფრინავების ავადმყოფობაც იყენებდა. ჯერჯერობით, მისი ჩამოგდების პრეცედენტი არ ყოფილა. მოსკოვის მტკიცებით, ქართველებმა Ty-22M3 საზენიტო-სარაკეტო კომპლექს C-200-ით ჩამოგდეს, რომელიც თითქოს სპრძოლო მოქმედების დაწყებამდე საქართველოს უკრაინამ მიაწოდა.

სამწუხაროდ ქართულ მხარეს ჩამოგდებული Ty-22M3-ის ფრაგმენტები ჯერ არ უნახეს(და ალბათ ვერც ვიხილავთ, რადგან ზღვიოს თქმით, ის თუ გორსა და ცხინვალს შორის ჩამოაგდეს და თუ გავიფიქრეთ იმას, რომ ეს ტერიტორია ორი კვირა რუსებს ჰქონდა ოკუპირებული მაშინ ფრაგმენტები უკვე გატანილი იქნება). ეკიპაჟის შემადგენლობაში არც ზინოვის სტატუსი ჩმაურდება. მისი მტკიცებით კი ავროფოტოგადაღებას აწარმოებდა. ამასვე ადასტურებს რუსულ ინტერნეტწყაროებში გავრცელებული ცნობები. არც ეს არის გასაკვირი, რადგან Ty-22M3-ის ბაზაზე შექმნილი იყო მზვერავი მოდიფიკაცია Ty-22MP (სულ 12 თვითმფრინავი). თუმცა ის საკმაოდ ძლიერი ხარვეზების დამდეგმელი სისტემითაა აღჭურვილი და 1976 წელს შექმნილი C-200-ის ბოლო მოდიფიკაციასაც (C-200Д Дубна) კი გაუჭირდებოდა მისი ჩამოგდება. ალბათ ის უფრო თანამედროვე Бук-ით ჩამოგდეს, რომლიც ნამდვილად გვქონდა. ის შეიარაღებაში 1983 წელს ძიიღეს და 22კმ-ის სიმაღლეზე სწვდება.

თავდაპირველი ცნობების თანახმად, ეს თვითმფრინავი კალუგის მხარეში მდებარე შაიკოვკის აეროდრომიდან აფრინდა, სადაც 52-ე მძიმე ბომბდამშენთა ავიაპოლკი დისლოცირდება. შემდეგ კი რუსულ საინფორმაციო საშუალებებითა და ინტერნეტგვერდებით გავრცელდა ცნობა, რომ ეს თვითმფრინავი, რომლის საბორტო ნომერიც „36"-ია, ახტუბინსკის აეროდრომიდან აფრინდა. ამავე ცნობებით ეს მოდერნიზებული Ty-22MP იყო, რომელზეც უანლესი სადაზვერვო აღჭურვილობა იყო დაყენებული და ამ აეროდრომზე ის გამოცდის გადიოდა. ახტუბინსკში ჩკალოვის სახელობის რუსეთის სამხედრო ავიაციის ცენტრალური დაქვემდებარების 929-ე სახელმწიფო საფრენონო-საცდელი ცენტრი დისლოცირდება. აეროდრომზე ერთადერთი Ty-22M3 ბაზირდება. გამოდის, რომ ჩვენმა მეზღვიტელებმა სწორედ ის ჩამოაგდეს. იმას, რომ ეს თვითმფრინავი ახტუბინსკიდანაა ისიც ადასტურებს, რომ კიდევ ერთი კატაპულტირებული პილოტი 39 წლის პოლკოვნიკი იგორ რაკუტინი, რომლის გვამიც ჩვენმა სამართალდამცავებმა იპოვეს (გვარი რაკუტინი მის მუზარადზე იყო ამოტვიფრული), ახტუბინსკში დისლოცირებული საფრენონო-საცდელ ცენტრში ინსტრუქტორად მუშობდა. მაგრამ საინტერესო ისაა, თუ რიმელ ჭკვიან რუს სამხედროს მოუვდა აზრად სპრძოლო მოქმედებების ზონაში საცდელი მანქანის გაშვება და თანაც ინსტრუქტორებიანი ეკიპაჟით. ალბათ ახალი მანქანის რეალურ სპრძოლო პირობებში გამოცდა სურდათ და იმედია მიღებული შედეგებით კმაყოფილნი არიან.

თუმცა ის, რომ ბომბდამშენი მხოლოდ დამზვერვაზე მუშაობდა ძნელი დასაჯერებელი, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც სპრძოლო მოქმედებების განმავლობაში რუსული ბომბების ჭკვნ მოყვა.

დღეისთვის Ty-22M3 შორი ავიაციის 37-ე საპაერო არმიის ხუთ აეროდრომზე ბაზირდება: 52-ე მძიმე ბომბდამშენთა ავიაპოლკი (აეროდრომი შაიკოვკა) – 25 ცალი; 200-ე გვარდიული მძიმე ბომბდამშენთა ავიაპოლკი (ბელაია) – 25 ცალი; 840-ე ავიაპოლკი (სოლეცი) – 20 ცალი; 444-ე ავიაპოლკი (ვოზდვიჟენკა) – 28 ცალი და ქალაქ რაზიანში მდებარე საფრენონო შემადგენლობის გადამზადებისა და სპრძოლო გამოყენების ცენტრი (დიაგილევო) – 11 ცალი. კიდევ ერთი 924-ე ცალკეული გვარდიული საავიაციო რაკეტმზიდი პოლკი საზღვაო ავიაციის განკარგულებაშია (ოლენია) – 37 ცალი.

მეორე პილოტი, საკარაულდდ Cy-24M-ზე ფრენისას ჩამოაგდეს. ოფიციალური მოსკოვი კონფლიქტში ამ ტიპის თვითმფრინავის დაკარგვას უარყოფს (მისი მტკიცებით, მან დაკარგა სამი Cy-25 და ერთი Ty-22M), მაგრამ ქართულ მხარეს ამის

დღეისთვის რუსეთს 650-მდე სხვადასხვა მოდიფიკაციის Su-24 აქვს

უტყუარი მტკიცებულება აქვს – ფორსა და ცხინვალს შორის მდებარე სოფელ ძევრასთან ჩამოგდებული თვითმფრინავის ფრაგმენტები, რომელიც ერთ-ერთი სახლის ეზოში ჩავარდა. სამართალდამცავებმა შავი ყუთი ამოიღეს, რომელიც გასაშიფრავად წაიღეს.

მართალია, თვითმფრინავი დაზიანებულია, მაგრამ სპეციალისტები შეძლებენ ფრაგმენტების ამოცნობას (ალბათ, რუსებმა ამ თვითმფრინავების ფრაგმენტების გატანაზეც იზრუნეს. ისე, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის ჯარის გაყვანის გაჭიანურება ჩამოგდებული თვითმფრინავებისა და გამოყენებული ბომბების ფრაგმენტების შეგროვებითა და გატანით ყოფილიყო გამოწვეული). დიდი სპეციალისტობა არ არის საჭირო, რომ ფიუზელაჟის ფრაგმენტებში Su-24M-ის მარცხენა (თუ ფრენის მიმართულებით შეეხედავთ) ჰარმონიები ამოიცნო. ამ ტიპის თვითმფრინავზე წინ გამოშვერილი ვერტიკალური სოლის მჭონე მართკუთხა კეფის ჰარმონიები ფიუზელაჟის ძოწილ სიმაღლეს იკავებს. Ty-22M3-ზე ჰარმონიები გაცილებით დიდი კეფითსაა და მას სულ სხვანაირი ფორმა და ჰორიზონტალური სოლი აქვს. Su-25-ისა კი ოვალურია. ამ მოსაზრების დადასტურება კიდევ იმითაა შესაძლებელი, რომ დღეისთვის რუსეთის შეიარაღებაში არსებული თვითმფრინავებისგან ვერტიკალური სოლის მქონე ჰარმონიები მხოლოდ Su-24-ს აქვს.

გარდა ამისა, იქვე გდია Su-24M-ის ორივე ძრავა АЛ-21Ф-3А და ერთი აუფეთქებელი ბომბი, რომლის ჩამოგდებაც რუს პილოტებს ქართველმა მეზენიტეებმა არ აცალეს. თვითმფრინავის იდენტიფიცირება ძრავის მეშვეობითაც შეიძლება – ამ ტიპის ძრავის წინ მიმართველი აპარატი აქვს დაყენებული (ერთ-ერთზე ის მოგლეჯილია), რომელიც Su-25-ის ძრავას არ აქვს. Ty-22M3-ის ძრავაზე დაყენებული მიმმართველი აპარატი 18-ნიჩბიანია, АЛ-21Ф-3А-ისა კი მხოლოდ რვიანი. თანაც, Ty-22M3-ის ძრავა АЛ-21Ф-3А-ზე გრძელია.

ნაკლებსავარაუდოა, რომ მიიორ მალეოვის Su-24 „ოცლათი" ან „სტრელათი" ჩამოგდდოთ. რადგან რუსეთში დაბრუნებულმა უკრაინელ ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ უშალოდ ჩამგდების წინ მოწინააღმდეგის რადიოლოკაციური სადგურის მიერ დასხივების შემატყობინებელი სისტემა ჩაერთოო. სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტაზე კი აღნიშნული სისტემა არ რეაგირებს.

სავარაუდოდ, მათი თვითმფრინავი მოდერნიზებული Su-24M-აა, რომელიც შეიარაღებაში 1977 წელს მიიღეს. ამ მოსაზრებას ის საფუძველი აქვს, რომ მოძველებული საბაზო Su-24-ები მხოლოდ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეიარაღებაშია დარჩენილი და ისიც არა უმეტეს 5-6 ათეული მანქანისა.

ამ ორი ვარიანტის მთავარი ვიზუალური განსხვავებული ნიშანი Su-24M-ის შემთხვევაში დავრძელებული ცხვირა რადიოგამჭვირვალე გარსშემოდენია, რომელზეც Su-24-ისგან განსხვავებით ორის ნაცვლად ერთი საპაერო წნევის მიმღებია დაყენებული.

თვითმფრინავის საბაზო ვარიანტისგან ის გაუმჯობესებული რადიოელექტრონული აღჭურვილობითაც გამოირჩევა, რისი წყალობითაც 150მ-ის სიმაღლეზე მიწის

ჩამოგდებული Su-24-ის იდენტიფიცირება მის ძრავაზე არსებული რვანიჩბიანი მიმართველი აპარატითაც შეიძლება





ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲯᲐᲠᲘ
ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲯᲐᲠᲘ

რეალიეფის პარალელურად შეუძლია ფრენა. ეს ართულებს მისი რადარებით აღმოჩენას. 39700კგ-ის ტოლი მაქსიმალური ასაფრენი მასით (ცარიელის წონა – 21200კგ) Su-24M-ის მაქსიმალური სიჩქარე 1700კმ/სთ-ის ტოლია, ფრენის სიმაღლე 11000მ, მოქმედების სპრძოლო რადიუსი კი – 600კმ.

არანაკლებ მრავალფეროვანია მისი შეიარაღების არსენალი. 8000კგ-იანი საბრძოლო დატვირთვისას Su-24M-ს შეუძლია წაიღოს X-23, X-23M, X-25, X-25МЛ, X-25MP, X-28, X-29Л, X-29T, X-31П, X-58 და X-59 ტიპის მართვადი „ჰაერი-მიწა“ კლასის რაკეტები, კონტეინერები უმართავი საავიაციო რაკეტებით (კალიბრით 57-დან 340მმ-მდე), უმართავი 100, 250 და 500კგ-იანი და მართვადი КАБ-500Л, КАБ-500KP, КАБ-1500Л ბომბები. რუსი პილოტები მათი გამოყენებით თავს არ იწუხებდნენ და გორს და მთლიანად საქართველოს უმართავი ბომბებით ბომბავდნენ. ისინი კი ხშირად ცდებიან სამიზნეს.

შემდეგომში, ორივე პილოტი, რუსული მხარისთვის გადაცემის შემდეგ, მე-7 საავიაციო კლინკურ და ბუფლეკის სახელობის ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტლებში ისინი რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა მოინახულა. მანამდე კი მაიორ მალკოვს ქართველმა ექიმებმა ხელზე ურთულესი ოპერაცია წარმატებით ჩაუტარეს (პრაქტიკულად მოწყვეტილი ხელი მიაკერეს), რაც შემდგომში ხელს არ შეუშლის მას მფრინავის კარიერის გაგრძელებაში.

Su-24-ებს საბჭოთა და შემდგომ რუსული ავიაცია ინტენსიურად ავლენთ-სა და ჩეჩნეთის ორივე ომში იყენებდა. ავღანეთში საბჭოთა ავიაციამ ერთი Su-24 დაკარგა და ისიც აეროდრომზე დაჯდომისას ბორტზე ხანძარი ვაუწნდა, ჩეჩნეთში კი – სამი. დღეისთვის რუსეთის შეიარაღებაში დაახლოებით სხვადასხვა მოდიფიკაციის 650-მდე Su-24-აა და ისინი 17 აეროდრომზე ბაზირდებიან: ეკიდა – 2-ე გვარდიულ ბომბდამშენთა ავიაპოლკი (Su-24M), სევერსკი-2 – 67-ე ავიაპოლკი (Su-24M), ხურბა – 277-ე ავიაპოლკი (Su-24M), პერეიასლავკა-2 – 302-ე ავიაპოლკი (Su-24M და Su-24M2), ჟორნეჟი – 455-ე ავიაპოლკი (Su-24M), მორიზოვსკი – 599-ე ავიაპოლკი (Su-24M), სუროვეჟი – 722-ე ავიაპოლკი (Su-24), ეისკი – 959-ე ავიაპოლკი (Su-24), ჩერნიახოვსკი – 4-ე ავიაპოლკი, მარიინოვკა – 11-ე ავიაპოლკი (Su-24MP), შატალოვი – 47-ე ავიაპოლკი (Su-24MP) , მინნეგორსკი – 98-ე ავიაპოლკი (Su-24MP და Su-24), ვოზდვიჟნა – 293-ე ავიაპოლკი (Su-24M), ბადა – 313-ე ავიაპოლკი (Su-24M), ვორფოლამეევკა – 799-ე ავიაპოლკი (Su-24MP), ლებეჟეე – 1-ელი ავიაპოლკი (Su-24) ლიპეცკი-2 – 968-ე ავიაპოლკი (რამდენიმე) გვარდიულიკე – 43-ე ავიაპოლკი (Su-24).

იმავე დღეს, რუსულ საბრძოლო ავიაციას კიდევ ერთი თვითმფრინავი დაეკარგა. შუადღისით ბუდიონოვსკის სამხედრო აეროდრომიდან, სადაც 368-ე საიერიშო ავიაპოლკი დისლოცირდება, Su-25-ის ერთი წყვილი აფრინდა. დავალების შესრულების შემდეგ კი უკანა გზაზე გაბრუნებისას მიმყოლ თვითმფრინავს, რომელსაც 30 წლის მაიორი ვლადიმერ ედამენკო (საიერიშო პოლკის საავიციო რგოლის მეთაური, დამთავრა კანას მფრინავების უსაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებელი) მართავდა, რაკეტა მოხვდა და ჩამოვარდა. მიმყოლი მფრინავი ცდილობდა მასთან დაკავშირებას და კატაპულტირებას უბრძანებდა, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

მანამდე კი 8 აგვისტოს ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ამ დღის საღამოს რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ ოსებმა ქართული საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რომელიც რუსული სატანკო კოლონის დაბომბვას ცდილობდა. ცოტა ხანში კი ინტერნეტში გაჩნდა ცნობა, რომ კატაპულტირებული პილოტი პარაშუტით დაშვებისას ოსებმა ჰაერშივე დაცხრილეს. ამის დასტურად საიტებზე დიდი ვიდეოკადრები, სადაც მართლა ჩანს, როგორ ეცემა მიწაზე აღმოდებული თვითმფრინავის ფრაგმენტები და პარალელურად სროლის ხმაც ისმის. შეიარაღებული ოსები კი ჩამოგდებული Su-25-ის ფაირნარ ნოსკოვ-ლიერებენ.

თითქოს ყველაფერი ჩვენი მოიერიშის დაკარგვაზე მიუთითებდა, მაგრამ სინამდვილეში არც 8 და არც 9 აგვისტოს ქართულ ავიაციას საბრძოლო თვითმფრინავი არ დაუკარგავს. გამოდის, 8 აგვისტოს ცხინვალთან რუსეთის Su-25 ჩამოვარდა. შესაძლოა, ის ქართველმა მეზენიტეებმა ჩამოაგდეს. არც ის არის გამორიცხული, რომ ის რუსებმა ან ოსმა სეპარატისტებმა შეცდომით ჩამოაგდეს. რუსეთისთვის უბედურება ის არის, რომ მთი კატაპულტირებული პილოტი ჰაერშივე ისევ „ოსმა მეგობრებმა“ დაცხრილეს. როგორც შემდგომ რუსული წყაროებიდან გახდა ცნობილი თავისივე თვითმფრინავი 58-ე არმიის 19-ე მოტომსროლელი დივიზიის სერჟანტმა ალექსეი ტიურინმა გადასაარჩენი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით ჩამოაგდო. მაგრამ მანამ ყველაფერი გაირკვეოდა, ადგილზე მოსულმა უფროსობამ სერჟანტს მოულოცა და მხი დაჯილდოებაც კი გადაწყვიტა. სტატიის ავტორს ერთი პატარა კაზუი გაეცარა. თვითონვე აღიარებს, რომ სერჟანტი საკუთარმა თანამებრძოლებმა უშვერი გინებით შეამკეს და შემდეგ ფიზიკურადაც გაუწორდნენ – ჩვენებური „სუფა“ ჩამოადგეო.

დღეისთვის რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში 200-მდე Su-25-აა, რომლებიც 7 აეროდრომზე ბაზირდებიან: 899-ე საიერიშო ავიაპოლკი – ბუტურლინოვკა, 368-ე ავიაპოლკი – ბუდიონოვსკი, 461-ე ავიაპოლკი – კრასნოდარი-ცენტრალური, 960-ე ავიაპოლკი

რუსეთში დაბრუნებული პილოტები რუსეთის პრემიერ-მინისტრმა პუტინმა მოინახულა

დაღუპული რუსი პილოტის იდენტიფიცირება მუზარადზე ამოტვიფრული გვარით მოხერხდა

– პრიმორსკო-ასტრახანსკი, 18-ე ავიაპოლკი – გალენკა, 187-ე ავიაპოლკი – ჩერნიგოვკა, 266-ე ავიაპოლკი – სტეპოლოვიანაია

10 აგვისტოს დაბომბვა განახლდა, ამჯერად სამიზნეს თბილისი წარმოადგენდა. გამთენიისას, დაღესტნის მხრიდან შემოსულმა Su-24M-მა დარტყმა „თბილავიაშენის" (31-ე ქარხანა) აეროდრომს მიაყენა. იმ დღეს დაბალი ღრუბლიანობა იყო და, ალბათ, ეკიპაჟს გაუჭირდა სამიზნის მონახვა და ჩამოგდებული ოთხი ბომბიდან ორი სამიზნეს ასცდა, ორი კი არ აფეთქდა. აეროდრომი გადარჩა, ოღონდ დროებით. იმავე დღის საღამოს შვიდ საათზე Su-24-მა აეროდრომზე იერიში ისევ მიიტანა. იმ დღეს რუსულმა ავიაციამ ქარელისა და გორის რაიონის რამდენიმე სოფელსაც შეუტია. იმავდროულად, დაიწყო საჰაერო შეტევა ზემო აფხაზეთსა და კოდორის ხეობაზე. რუსული საფრენტო ავიაციის მიზანს კვლავ გორი და სენაკის სამხედრო აეროდრომი წარმოადგენდა. იქ რუსებმა საკარაულიდ ორი ქართული Ми-24 და ერთი □и-14 ჩამოადგეს, მაგრამ თავი შეიძლება იმით დავიშვიდოთ, რომ უკანასკნელი რესურსგასული იყო.

ალბათ, არაა საჭირო დიდი სამხედრო-სტრატეგიული ნიჭი იმის მისახვედრად, რომ ვაზიანისა და მარნეულის საჰაერო ბაზებზე მიყენებული დარტყმების შემდეგ რუსული ავიაციის მიზანს სამხედრო აეროდრომები შეადგენდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ 11 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ იერიში დედოფლისწყაროსთან მდებარე დიდი შირაქის აეროდრომზეც მიიტანა, რომელსაც ჩვენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღარ ვიყენებთ. აეროდრომის ბეტონის ბილიკების გასანადგურებლად რუსებმა ბეტონსაწინააღმდეგო ბომბები გამოიყენეს.

საავიაციო შესაძლებელი იყო რომელიმე მთავარზე რუსული დამრტყმელი თვითმფრინავებისთვის ჩასაფრების მოწყობა. სულ ხუთი დღის განმავლობაში (8-12 აგვისტო) ქართველებმა ჩამოაგდეს ათზე მეტი რუსული საფრენი აპარატი (მოსკოვის მტკიცებით კი მხოლოდ 4).

საბრძოლო მოქმედების დაწყების მომენტისთვის საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა მოუმზადეველი აღმოჩნდა. საშუალოდ, საქართველოს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ქვეყნის საზღვრების გასწვრივ და დიდი ქალაქების გარშემო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უწყვეტი რგოლები გააკეთოს. ამიტომაც არსებული საზენიტო საშუალებები ქვეყნის მხლოდ განსაზღვრულ რაიონებს იცავენ. იმ დღეებში მთელი ქართული საჰაერო თავდაცვის საშუალებები (Стрела, Игла, Бук, Оса, ებრალი წარმოების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები) მიზეზთა გამო, ძირითადად, კონფლიქტის ზონაში იყო თავმოყრილი, დანარჩენი საჰაერო სივრცე კი, პრაქტიკულად, ღია იყო. რუსები ამით სარგებლობდნენ და საქართველოს საჰაერო სივრცეში აფეზეთიდან, კოდორის ხეობიდან და დაღესტნიდან შემოდიოდნენ. თბილისსა და ფოთთან განთავსებული სტაციონარული C-125-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, ალბათ, გაუმართავი იყო. არადა „არსენალში" არაერთხელ დაწერილი სტატიები იმის თაობაზე, როგორ შეიძლება საქართველოს საჰაერო თავდაცვის მოწყობა.

მაგრამ ხომ შეიძლებოდა მარნეულისა და სენაკის აეროდრომების გარშემო Шилка-ების ან საზენიტო არტილერიის □-60-ის ტიპის ქვემეხების დაყენება? Шилка-ს ვერტიკალური და ჰორიზონტალური მბრუნველები ცეცხლის ეფექტიანად წარმოება შესაძლისად 1500 და 2500მ-ზე შეუძლია, □-60-ს ტიპის ქვემეხებს კი – 4000 და 6000მ-ის დისტანციაზე. ეს იდეალური დაბალ და საშუალო სიმაღლეზე მფრენი სამიზნეების წინააღმდეგ. ყველაფრის მიუხედავად, ქართველმა მეზენიტეებმა მაინც კარგად იმუშავეს.

მთავარი ის არის, რომ მტრის საჰაერო დარტყმებისგან დედაქალაქიც დაუცველი აღმოჩნდა. „თბილავიაშენის" აეროდრომის დაბომბვის შემდეგ, 11 აგვისტოს გამთენიისას, სარაკეტო დარტყმა მიაყენეს სამოქალაქო აეროპორტის სარადარო სადგურს. თანაშრომლების თქმით, შენობის დატოვების შემდეგ მათ დაინახეს დაბალ სიმაღლეზე მფრენი თვითმფრინავი და მისგან გაშვებული რაკეტა. ეს Su-24M იყო, რაკეტა კი რადიოლოკაციურსაწინააღმდეგო კლასისა, სავარაუდოდ, X-31П ან X-59 ტიპის. სწორედ ამ ტიპის რაკეტა ჩამოაგდეს სოფელ წითელუბანთან გასულ წელს.

11 აგვისტოს განახლდა გორის სატაბკო და საარტილერიო ბაზების დაბომბვა, რასაც არაერთი შშგადიანი მოსახლის სიცოცხლე შეეწირა, კოდორის ხეობის, სენაკის აეროდრომისა და ბაზის, ხელვაჩაურის საშხედრო ბაზის (თურქეთიდან 10-15კმ-ის მოშორებით) დაბომბვა.

ბოლო ბომბი საქართველოს ტერიტორიაზე 12 აგვისტოს ჩამოვარდა. მაშინ რუსეთმა საერთაშორისო კონვენციით აკრძალული კასეტური ტიპის ბომბი გამოიყენა და ის გორის ცენტრალურ მოედანზე ჩამოაგდო, რასაც არაერთი მოქალაქის, მათ შორის ჰოლანდიელი ტელეოპერატორის სიცოცხლე შეეწირა. სხვათა შორის, 2008 წლის 30 მაისს დუბლინში გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც კრძალავდა ამგვარი სახის ბომბების გამოყენებას, მაგრამ რუსეთმა, აშშ-მა და კიდევ რამდენიმე ქვეყანამ უარი განაცხადეს მის მიღებაზე.

8-12 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ საქართველოს ტერიტორიაზე (თუ არ ჩავთვლით ცხინვალის რეგიონს) 43-ჯერ მიტანა საჰაერო იერიში.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთის ავიაციამ კვლავ რამდენიმეჯერ „დაგვასაჩუქრა". ამჯერად ბორჯომის ტყეებში შეეულმფრენებიდან ჩამოყრილი ცეცხლგამჩენი ბომბებით. არაერთი ადგილას ბანერი ხანძრის ლოკალიზაციას თითქმის სამ კვირამდე დასჭირდა.

იმედია, საქართველოს ხელისუფლება და თავდაცვის სამინისტრო გაითვალისწინებენ ყველა შეცდომას და ვავშანმანქანებისა და სამხედრო პიკაპების შესყიდვის გარდა." საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და ავიაციის გაძლიერებაზეც იზრუნენენ.

თემურ კულუზაშვილი

როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს ამერიკისა და რუსეთის სტრატეგიული ბომბდამშენი ძალები

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცა რუსეთის არცთუ ორაზროვანი განცხადება კუბაზე რუსეთის ფედერაციის საშხედრო-საჰაერო ძალების თვითფრინავების შესაძლო განლაგების თაობაზე. ზოგი ამ ფაქტს კრემლის მორგ საინფორმაციო კამპანად აღიქვამს, ზოგიერთი კი მასში სრულიად შესაძლებელ მოვლენას ხედავს. საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი უფრო რეალურად გვეჩვენება, აკი ახსენა კიდეც რუსული სტრატეგიული ავიაცია კონდოლიზა რაისმა ერთ-ერთ უკანასკნელ გამოსვლაში. ნატოსთან ურთიერთობების გაწყვეტის ფონზე უკვე ყველას სჯერა, რომ რუსეთს მართლაც შეუძლია კუბაზე, ვენესუელასა და ალჟირში თავისი სტრატეგიული ავიაციისათვის აეროდრომების მოწყობა.

რა რაოდენობრივი ბალანსია ნატო-რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების ძალებში, ვფიქრობთ ეს კითხვა ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს აწუხებს. შეეცდებით ამ სტატიით პასუხი გავცეთ ამ კითხვას.

სადღეისოდ რუსეთის საშხედრო-საჰაერო ძალების სტრატეგიული დანიშნულების 37-ე საჰაერო არმიის შემადგენლობაში გაერთიანებულია ორი მძიმე ბომბდამშენი დივიზია, რომელთა შეიარაღებაში შედის: სტრატეგიული ბომბდამშენები Ty-160 და Ty-95MC, რომლებსაც საერთო ჯამში დიდი სიშორის 884-ფართიანი რაკეტის ტარება შეუძლიათ. გარდა ამისა, არმის შემადგენლობაშია Ty-22M3 (Backfire) თვითფრინავებით აღჭურვილი ოთხი მძიმე ბომბდამშენი დივიზია.

22-ე გვარდიელი მძიმე ბომბდამშენი დივიზია, რომელიც ქალაქ ენგელსშია დისლოცირებული, შედგება მძიმე ბომბდამშენთა ორი პოლკისაგან: 15 ბომბდამშენ Ty-160-ით აღჭურვილი 121-ე და 184-ე პოლკისგან, რომლის შეიარაღებაშიც 18 Ty-95MC მძიმე ბომბდამშენია.

326-ე მძიმე ბომბდამშენი დივიზია ხაბაროვსკის მხარეშია განლაგებული. ამ დივიზიაში შედის ბომბდამშენ Ty-95MC-ების 79-ე და 182-ე გვარდიული პოლკები. ბაზაში მოლიანად 40 ბომბდამშენია. 1990 წლისათვის რუსეთის (მაშინდელი საბჭოთა კავშირი) სტრატეგიულ ავიაციაში კრიზისი იყო, რაც გამოიხატა კადრების დაკარგვით, საფრენსონო ოსტატობის დაქვეითებით (ეს საქართველოს

კუბური მუქარები

